

ოგონსო

1928 წ.

№ 30

# დავით უკიდავალი დავით უკიდავალი



La Géorgie


Indépendante

Revue mensuelle

J U I N

1928—№ 30

საქართველს პოლიტიკური პარტიების ორგანო.



კარლ ბსეძე  
(1864—1926 წ.)

კარლ ჩხეიძის გადარჩევალების ორი წლის თავი.

ორი წელი შესრულდა რაც კარლო საფრანგეთის მიწას მივაბარეთ. პერლაშეზის სასაფლაო ბევრ სახელოვან ადამიანის ნეშტს ინახავს და ამ სახელოვან პარიზის მიწამ სტუმართმოყვარულათ გაუხსნა გული, ხოლო ქართულ ცრემლთან და მწუხარებასთან ერთად მრავალი გამოჩენილი ფრანგის წრფელი გლოვა ჩაყვა სამარეში დიდებულ ივერიელს. მაგრამ კარლოს ნეშტი სამარადისოთ ვერ განისვენებს პერლაშეზის სასაფლაოზე. მას მოითხოვს საქართველოს მიწაწყალი და როგორც კი განიწმინდება მომხდურთა თელვისაგან, ის მას სიყვარულითა და ვნებით ჩაიკრავს გულში. მანამდე კი, უცხოეთში კარლოს საფლავის მომვლელი და მესვეური დევნილი, გადმოხვეწილი ქართველობაა.

და 17 ივნისს, პარიზს მთელმა ქართველობამ თავი მოიყარა პერლაშეზის სასაფლაოზე, კარლოს სამარეს ირგვლივ, რათა მოკრძალებით და სიყვარულით აღენიშნა მისი გარდაცვალების ორი წლის-თავი.

გორგი გვაჩავამ მოაგონა დამსწრეთ კარლოს ადგილი ქართულ ისტორიაში: «გრძელია საქართველოს ისტორია, მაგრამ ეროვნული ნებისყოფა არასოდეს ისე მკაფიოდ, ისე უდავოთ არ გამოთქმულა და არ გამოცხადებულა, როგორც ამ ათი წლის წინეთ, როცა ქართველმა ერმა კვლავ მოიპოვა თავისუფლება და მის სულს და გონებას მიეცა სრული გასაქანი. ეროვნული ნებისყოფა იხატება ხელოვნებაშიც, პოეზიაშიც... მაგრამ უმაღლესი მისი ფორმაა კანონმდებლობა. ამ დიდ საქმისათვის ამოძრავდა ქართველი ერი და დიადი შემოქმედების სათავეში ჩააყენა ჩვენი დაუვიწყარი ჩხეიძე: ის იყო თავმჯდომარე დამფუძნებელი კრებისა, მისი დინჯი, პატიოსანი და განათლებული ხელმძღვანელობით პატივალა ქართველი ერის ნატვრა და გულისნადები. თავისუფლება, მასზე დამყარებული სამართალი და სამართლიანობა შინ, და მეტი სოლიდარობა საერთაშორისო ცხოვრებაში,— აი ის პრინციპები, რომელშიაც ნათლათ და მკაფიოდ ჩამოყალიბდნენ ქართველი ერის მისწრაფებანი. ხანმოკლე იყო ჩვენი თავისუფლება, მაგრამ ეს გონებრივი და ზნეობრივი ასუქება იყო მკვეთრი და ბრწყინვალე. ეს ხან იქნება ბრწყინვალე ზოლი საქართველოს ისტორიაში და იქ სამუდამოთ დარჩება ბრწყინვალედ ჩაქსოვილი სახელი ნიკოლოზ ჩხეიძისა.

მისეილ ხუნდაძემ დაახასიათა კარლო როგორც ეროვნული მოღვაწე და უმაღლეს საქაცობრიო მისწრაფებისათვის მებრძოლი: «მისი დაუდალავი მოღვაწეობა, ენერგია, ერთგულება, ფართე და ნათელი გონება, ღრმა სიყვარული მშრომელ ხალხისადმი, პატივისცემა ადამიანის პიროვნებისა და ის თვისებები, რაც მის პიროვნებას განსაკუთრებით ახასიათებდა—მისი მალალი ზნეობა, კეთილშობილება, იდეალიზმი ნებას აძლევდა მას ყოველთვის დიდი მოძრაობის სათავეში მდგარიყო»...

ბ. ჩხეიძე.  
(მოგონება)

ეს იყო 1924 წლის მაისის უკანასკნელ დღეებში, რამდენიმე კვირის წინ აჯანყებამდე, რომელიც მტერმა სისხლში ჩაალრჩო. ჩხეიძე ჩამოვიდა ენენგავში საქართველოს დამოუკიდებლობის ექვსი წლის-თავის გამო: უნივერსიტეტის სახეიმო დარბაზში წარმოსთქვა მან მხურვალე სიტყვა, რომელმაც, ერთა ლიგის ქალაქში, საზოგადოებრივი აზრის ყურადღება მიაპყრა მისი ქვეყნის უბედურებას.

ამ ცერემონიის დღის მოლოდინში ის ცხოვრობდა ჩემთან, სოფელში, და ჩემგან ტყობილობდა ისტორიას კარტინის პატარა კომუნისას, რომლის სვებედი საუკუნეთა განმავლობაში მქიდროთ დაკავშირებული იყო ენენგავის თავგადასავალთან. ჩვენ დავსეირნობდით ამწვანებულ ორღობეთა შორის, ვემუსაიფებოდით გზათ შეხვედრილ გლეხებს. ის უკვირდებოდა მათ ზნე-ჩვეულებებს და ხასიათს, ჰკვირობდა მათს გონებრივ დაწინაურებას და კულტუროსნობას. სტკბებოდა პირადი კონტაქტით თავისუფალ ქვეყნის მოქალაქეებთან.

როცა, დღისით, რედაქციაში გავემართებოდი და ჩხეიძეს დავტოვებდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ საღამოს ის დამხვდებოდა გართული ცხოველბაასში ჩემს მოხუც, 80 წლის მამასთან, რომელსაც ის ძლიერ შეეგუა, ანდა, მოუხსრობდი მას საბაღოსნო იარაღით ხელში ყვავილების ერთ-ერთ რიგის მარგლით გატაცებულს. მას უყვარდა აგრეთვე დაკიდულ მწვანე ნაპირის სიმალიდან თვალყურის დევნება თუ როგორ მიემგზავრებოდა ხმელთაშუაზღვისაკენ ჩვენი ალპებიდან მომდინარე ორთა.

მაგრამ, ჩემთან სამწუხაროთ ასე მოკლე სტუმრობის დროს, ჩხეიძე ერთმა რამემ გაიტაცა განსაკუთრებით: ის შეყვარებული იყო ხუთასი წლის მუხებზე, რომელნიც ჩრდილს ჰფენენ ჩემს მამულს და რომელთ დიდებულები სილუეტები თითქოს გამოკვეთილნი არიან ყიუტრას მთის პორიზონტის ხაზზე, ეს მუხები და ეს მთა მოაგონებდნენ მას საქართველოს, ის მზათ იყო განუწყვეტილვ დამტკბარიყო მათი ცქერით...

«შვეიცარიაში არასოდეს არ იქნება ბოლოშვიცხეში». მითხრა მან უეცრად ერთ დღეს, როცა ჩვენ მუხების ჩრდილში ვისვენებდით.—«ვისმინოთ ცამ!» ვუპასუხე მე: «მაგრამ რას ეყრდნობა თქვენი ასე გადაპრილი აზრი?» და ჩხეიძემ მიპასუხა: «ამ მუხებს გაუტარებიათ 500 წელზე მეტი; მათ გაუცილებიათ მრავალი თაობა; განუცდიათ მრავალი სხვადასხვა ხანა; ვადაუტანიათ კრიზისები პოლიტიკური, სარწმუნოებრივი, ომები, რევოლუციები. მათ ახლოს, მათ ირგვლივ უბრძოლიათ ადამიანებს. მაგრამ არავის მათთვის ხელი არ უხლია, ისინი არ გაუნადგურებიათ. ყველა პოლიტიკური რეჟიმი, ყველა სხვა და სხვა, მესაკუთრე პატივით მოჰკიდებია მათ. ეს მოწმობს, რომ თქვენს ხალხში არ არის განადგურების ეინი. და იქ სადაც ეს ეინი არ არის, არ არის ბო-



ლშევიზმიც. აი რატომ გეუბნებით თქვენ, რომ შვეიცარიის არასოდეს არ იქნება ბოლშევიზმი!»

და ყოფილი დუმის დეპუტატი, ძველი რევოლუციონერი ქებას ასხამს ტრადიციას, ამ, მისი აზრით, ხალხის ეროვნულ სულის საფუძველს.

ძლიერ აღევ გავემორდა ჩხეიძე, მასზე ჩვენ ჯერ კიდევ დიდ იმედებს ვამყარებდით. მაგრამ ჩვენს გულში რჩება მისი სხონა და მასთან ერთად მისი ფილოსოფიური აზრები ხალხთა სვებედის შესახებ.

თქვენც, ქართველნო, თქვენც არა ხართ ბოლშევიზმისათვის შექმნილი! თქვენი ათასწლოვანი სხეები, მოწამენი თქვენი წარსულის დიდების და თქვენი მომავლის ურყევი რწმენის, შეუდრეკლათ დგანან თქვენი მთების კალთებზე! როცა გათავისუფლების დღეს ერთათ ვიხილავთ მათ, ჩვენ მღელვარებით მოვიგონებთ მათ ჩრდილში ჩვენს ძვირფას ჩხეიძეს!

ჟან მარტენ.  
Jean Martin.

ს ა დ ე ე ი ს ე ჲ ა მ ო ც ა ნ ა .

დღე ისე არ გავა, რომ თავისუფლების განთიადი არ გადავბათ იმ წუთთან, როცა საბჭოებს დაუდგებათ საშინაო ან საგარეო გართულება, ან კიდევ ორივე ერთათ. ჩვენს ანგარიშში იმდენათ დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ მოლოდინს, რომ მეტი არ იქნება ცოტა ახლო გავსინჯოთ ორივე შესაძლებლობა. დავიწყეთ პირველიდან.

საშინაო გართულებაში ჩვენ ვგულისხმობთ რევოლუციას. საბჭოთა რეჟიმის ძალათ დანგრევას. ეს მით უფრო ყურადსაღებია ჩვენთვის, რომ ამ ათი წლის წინ. სწორეთ რომანოვების რეჟიმის დამხობამ მოგვითქანა ეროვნული თავისუფლება. გონივრულათ სარგებლობა იმ წუთით, როცა გაბატონებულ ერში რევოლუციური სტიქია მიჰყვანავს, არის უაღრესათ პრაქტიკული ამოცანა ჩაგრულ ერის მომქმედ ძალებისთვის.

რევოლუცია მოასწავებს ხალხის ფართე მასების განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩაბმას, მათს გაერთიანებულ. ერთდროულ გამოსვლას, რეჟიმის შეიარაღებულ ძალების მოსაშლელათ ან კიდევ ფიზიკურათ დასაძლევათ. როგორაა ამ მხრივ საქმე რუსეთში? არის თუ არა მოსალოდნელი რუსის ფართე მასების—მუშების და გალეხების—ისეთი მთლიანი გამოსვლა. როგორც ამას ჰქონდა ადგილი 1917 წ? გადაჭრილი პასუხის სიძნელე ამ კითხვაზე თავის თავათ ცხადია, თუმცა რუსის ემიგრანტული წრეები, აგრეთვე კორესპონდენციები და დაკვირვებანი რუსეთიდან დაბეჯითებით უპასუხებენ: არა, არაა მოსალოდნელი.

მართლაც და, ამ ათი წლის განმავლობაში, ისე საფუძვლიანათ გაანადგურეს ბოლშევიკებმა პარტიები, თავისუფალი სინდიკატები და კოოპერაციები, საქალაქო და საერობო ორგანიზაციები, რომ რუსის ხალხმა თითქმის მთლათ დაჰკარგა საშუალება და უნარიც შეკავშირებისა, პოლიტიკური თუ სხვა მიზნით. რეჟიმმა მიაღწია იმ საფეხურს, როცა ხალხი წარმოადგენს ატომთა უბრალო გროვას, მოკლებულია საზოგადოებრივობას, სული ამოკლილი აქვს. ყველაფერი, რაც კი არსებობს: ისპოლკომები, სოვნარკომები და ათასი სხვა ორგანოები, არიან მხოლოდ ავტომატები, რომელსაც თავის ნებაზე ატრიალებს კომპარტია.

მაგრამ კომპარტიაშიც ვერ არის საქმე რიგინათ; ის მთლათ აპარატჩაკების, ან უკეთ—მოხელეთა ხელშია და ეს ხროვა დიდი და პატარა ბიუროკრატებისა უსიტყვოთ ემორჩილება პოლიტიკურს.

და აქ კი «ერთ არს ღმერთი და... სტალინი მისი წინასწარმეტყველი!»

კომპარტიის და სახელმწიფოს როლები შეიცვალა: თუ წინეთ პირველი პერობდა მეორეს, ეხლა, წინაუკმო, მეორე პერობს პირველს. თვითონ სტალინი კომპარტიიდანაა, რა თქმა უნდა, მისი მთავარი მდივანია, მაგრამ ის ეყრდნობა სახელმწიფო აპარატს პარტიის მოსათოკათ, მასზე საბატონებლათ. რამდენათ ძლიერია, შედარებით, სახელმწიფო აპარატი პარტიაზე, ეს იქიდანაც კარგათ სჩანს, თუ როგორის სიადვილით შემუსრა მან ოპოზიცია. მართლდება შოთას სიტყვები—«შიში შეიქმს სიყვარულსა»; ყველაფერი შიშზედაა დამყარებული: დისციპლინა, პირმოთენობა, ლენინიზმი.

ისმება კითხვა: რას უცდის სტალინი, რატომ არ აიხდის ნიღაბს და არ გამოაცხადებს თავის თავს დიქტატორად? ვინაა დამშლელი? რუსის ხალხი თითქოს მომწიფებულია ამისათვის; სპეცები, კულაკები მხოლოდ შეტრფიან ასეთ გამოსავლს: ევროპაც ხომ ამ «ევოლიუციას» ელოდა უკანასკნელ დრომდე.

მაგრამ არა, სტალინი «ჯიუტობს»—ასე ჰგონია ბევრს—და ანახლებს სასტიკ ბრძოლას მთელი კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ. რაშია საქმე? იმაში, რომ ის ყმაა შექმნილი მდგომრეობის, დესპოტი და იმავე დროს ყმა! ნეჰმა მას დაანახა კიდევ შარშან საბედისწერო უფსკრული, საითკენაც შეიქანებოდა მთელი რეჟიმი, ოპოზიციის შემოტევა პირველი გაფრთხილება იყო. მან დაამარცხა ოპოზიცია, მაგრამ არ დაივიწყა მისი გაფრთხილება, და ამის ნიშნებს უკვე ვხედავთ: ბრძოლა მთელს ხაზზედ, ე. ი. «სოციალისტური ამშენებლობა» სოფელშიც, დევნა სპეცების, კულაკების, ნემპანების... მსოფლიო რევოლიუცია.

ამ რიგათ, ისევ რევოლიუციას მივადექით, მაგრამ სხვა მხრიდან, ზევიდან. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ არც ერთი არალეგალური პარტია ან სხვა ორგანიზაცია არ აახლოებს ისე უტყუვრათ რევოლუციურ ხანას, როგორც თვით რეჟიმი და მისი საქმენი. საქმენი კი ისეთია, რომ მთელი ხალხი უპირდაპირდება რეჟიმს, არ არის ეხლა მასში ისეთი ფენი გლენტა თუ მუშათა, ვაჰარ-მრეწველთა თუ ინტელიგენტთა. რომელსაც ზიზლსა და გაბოროტებას არ გვრიდეს არსებული წესწყობილება. ჩვენ არ ვამბობთ უკანასკნელით დაინტერესებულ ვიწრო წრეებზე. მეორეს მხრით, ისე მწვავეა ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი და თვით კრემლის სტუმრები ისე

დაბნეული არიან, რომ საქმარისია პირველი დაკვრა და ამას მოჰყვება ვეება შენობის თავქვე დაშვება.

მაგრამ საიდან არის მოსალოდნელი ეს პირველი დაკვრა? თუ ემიგრანტებს დავეუჯერებთ, რუსის ხალხს ყრუანტელი უფლის ტანში სამოქალაქო ომის—იგულისხმე რევოლიუცია—უბრალო მოგონებაზე, ყველაზე უფრო მას უფროსისა. მაშ საიდან, ვისგან? ომისგან, ომში დამარცხებისგან—იტყვის ალბათ ვინმე, და აი ჩვენც მეორე შესაძლებლობაზე გვიხდება ლაპარაკი: საგარეო გართულება. ვინც იცნობს რუსეთის წარსულს, ის ომს უკავშირებს, თავის და უნებურათ, რევოლიუციურ მოძრაობას იქ. ასე იყო წინათ.

ჩვენ შეგვიძლია მოკლეთ მოვსურათ სიტყვა. ომი გულსინძობს ორ მხარეს: მომხდროს და დამხდურს, როგორაა ამ მხრივ საქმე? სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი ისე სუსტია დღეს, რომ მას არ შეუძლია არც ერთი ამ როლის აღება. თუ წითელი და სპეცი-ალური დანიშნულების ჯარები კარგათ ასრულებენ ხალხის ამწიოკებელთა როლს, ეს არის სწორედ მთავარი მაჩვენებელი მათი უფარგისობისა ომში. «გულადი» შინ, ლაჩარია გარეთ. ამბობენ, სტალინი ომის ხაზს იღებს, ის ამაშიც ტროცკისკენ ხრის, იქნებ მოსწყურდა მის მიერ ოდესმე წამოასროლილი «გმირული სიკვდილი»? კობა და გმირი!

მაშ ვინ უნდა გახდეს მომხდომი? მეზობლები, დიდი სახელმწიფოები? საეკვოა. ამ სტაბილიზაციის ხანაში ევროპა შეგნებულათ გაურბის ომს. ხალხი ყველგან მშვიდობიანობას მოითხოვს და მთავრობებიც ძალა-უნებურათ მის უზრუნველყფას ცდილობენ. მართალია, ზოგიერთ მთავრობის პოლიტიკა და განსაკუთრებით მოსკოვის პროვოკაციები ამის გარანტიას არ იძლევა სავსებით, მაგრამ ჩვენ ხომ მეტ ან ნაკლებ შესაძლებლობაზე გვაქვს ბასი და ვამბობთ, რომ ომი ნაკლებ მოსალოდნელია.

მით უფრო ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მეორე სახის ომი უკვე სწარმოებს, წელიწადზე მეტია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ინგლისმა გასწყვიტა ნორმალური დამოკიდებულება საბჭოებთან. როცა რეჟიმის მძიმე კრიზისზე ვლაპარაკობთ, ერთ წუთსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მასში ამ გარემოებებსაც უღევს თავისი დიდი წილი. მოსკოვმა ვერ შეიშნო კულტურული მოპყრობა, პირიქით, მან კიდევ უფრო გააძლიერა თავისი დამრღვევი მუშაობა უცხოეთში. ამას მოჰყვა, როგორც ვთქვით, ახალი სახის ომი, რასაც მოსკოვი «ბლოკადას» ეძახის, თუმცა თვითონ მან შემოირტყა იგი, თავისი ველური «სოციალიზმით».

მაშასადამე, საბჭოთა რეჟიმის «მშვიდობიანი» ლიკვიდაცია დღის წეს-რიგშია ევროპასა და ამერიკაში. რაც დრო გავა, მით უფრო მწვავეთ იგრძნობს მოსკოვი ეკონომიურ-ფინანსიურ მუხრუქს გარედან, მით უფრო ნაკლები შანსი დაურჩება მას «გმირული სიკვდილისთვის».

როგორ მოხდება ეს სიკვდილი? ზევით მოყვანილ მოკლე ანალიზიდან თითქმის ირკვევა, რომ ნგრევა დაიწყება ზევიდან, საბჭოთა იერარქიის მწვერვალ-

დან, სადაც წამოსკუპულან თითო-ოროლა პირი, აღკურვილი უზენაესი და განუკითხავი ძალა-უფლებით. ტყუილა არ გავრცელდა ხმა ამას წინათ, სტალინი-ზინოვიევი-კამენევის ტრიუმფირატი სდგებო! ეს იქნებოდა სასოწარკვეთილების უკანასკნელი ცდარეჟიმის სახსნელათ.

მაგრამ უფრო მოსალოდნელია სწორედ მეორე ცდა, ამ შემთხვევაში რეჟიმის დასანგრევათ. ჩვენ ვამბობთ სახელმწიფო გადატრიალებაზე, ანუ რასაც ფრანგები Coup d'Etat-ს ეძახიან. სრულიად გამოუსავალი მდგომარეობა, რომელსაც ჰქმნის ულმობელი კრიზისი და მისი აუცილებელი თანამგზავრი—საბჭოთა ორგანოების უკიდურესი გახრწნა—უთუთ ბადებს ზოგიერთ მართველთ თავში აზრს, თუ ასეთი რამ კიდევ ბეუტავს იქ, რომ საჭირა და გარდაუვალი კვანძის ბონაპარტისტული გაკვეთა. რას ნიშნავს ეს? სამხედრო დიქტატურას, რომელიც დაღწეს ბოლშევიკების მიერ შეხანსლულ უმზავსო რეჟიმს: აღადგენს კერძო საკუთრებას, გლევს მიწას დაუმტკიცებს, გააუქმებს ვნეშტორგს, ვნეტრორგს, მოახდენს დენაციონალიზაციას სამრეწველო დარგებისას, შექმნის უფლებრივ გარანტიებს უცხო კაპიტალის მოსაზიდათ და სხ. და სხ.

სიფრფთხილე მოითხოვს უფრო შორს არ შეეტოვოთ მოწოლილ დიდი ამბების კონკრეტისაციაში. რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა—ეს ის, რომ წინასწარ განვსტრიტოთ, თუ როგორ მოხდება ეს გადატრიალება, მშვიდობიანათ თუ ხელონარული ბრძოლით, ხალხის მონაწილეობით თუ მის გარეშე; ან კიდევ უფრო გარკვევით, შექმნეს თუ არა ბოლშევიკებმა ისეთი მკვიდრი სახელმწიფო მექანიზმი, მისი ჯარით, პოლიციით და სხვა მოკანშელობით, რომელიც უმტკივნეულოთ აიტანს გადატრიალებას?

საქმარისია დაისვას ეს კითხვები, რომ მყისვე ენაზე მოგვადგეს ვადაპრილი «არა!» ბოლშევიზმი და მკვიდრი რამ, სამარადისო, ორი ისეთი მცნებაა, რომელიც სრულიად არ ეგუება ერთმანეთს. ერთად ერთი მკვიდრი, რაც მან გააკეთა, ეს იყო მემამულეთა მიწების გლევებზე დარიგება, მაგრამ ესეც არ დაუმტკიცა მათ საკუთრეგად და ესლა მთლათ ჩამორთმევითაც კი ემუქრება «კოლხოზების» და «სოვხოზების» სახით!

ჩვენ ზევით დავინახეთ, ამის გარდა, რომ ხალხი კბილებს ილესავს ქვეყნის დამქცევთა და წამბილწველთა მიმართ. უკანასკნელი, შემოწმებული ცნობები იმასაც ამბობენ, რომ რუსის ხალხს—არარუსებზე ზედმეტია ლაპარაკი—გამოცოცხლება დაეტყო, უმუშევართა ბრბოები შეტევაზეც კი გადადიან აქაიქ, ყაზარმებშიც ჯანყის სუნი ტრიალებს...

ერთი სიტყვით, საქმარისია მოხდეს ზედა სართულზედ გადატრიალება, რომ მას აყვეს ქვედა სართულებიც—ხალხი.

ჩვენ კიდევ მოგვიხდება ამ საგანზედ შეჩერება, ენლა კი გავათავებთ იმით, რომ საშინაო გართულება ანუ რევოლიუცია თითქმის მაინც გარდაუვალია და აქედან ერთა განთავისუფლების უამიც ჩქარა დაჰკრავს.



ბართი ეტყენულ საკითხზე.

ძვირფასო ძმაო იტა! შენმა წერილმა მეტად გა-  
მანარა. ამ სიხარულის სრულიად მარტივი და მნიშ-  
ვნელოვანი მიზეზი იყო: შენი ფიქრი. მახარებს, რო-  
დესაც ქართველი ასე ძლიერად ფიქრობს თავისი  
ერის ბედზე თუ უბედობაზე. შენ კარგად იცი: ასეთი  
სიხარულის გამოთქმა თავის თანამოქალაქის შესა-  
ხებ ფრანგს დაეთაკილებოდა, მხოლოდ იმიტომ,  
რომ მოაზროვნე ფრანგისთვის ზრუნვა საკუთარი  
ერის ბედის შესახებ თავისთავად საგულისხმოა და  
არავითარ ეჭვებს არა სძრავს. სამწუხაროთ: ასე არ  
არის ქართველებში.

ერის ბედის საკითხი აქ სოციალურ საკითხზე  
არის დამორჩილებული და პარტიული ან ჯგუფური  
პროგრამულობა თავის დაღს ადებს და ამგვარათ  
ერის სვებედის საკითხს ჩრდილავს. ეს დიდი სენი  
ჩვენს ცხოვრებაში ახალი არაა, მას თავისი ისტო-  
რია აქვს. იგი ძირიანფესვიანადაა გამჯდარი ჩვენს  
მოაზროვნე საზოგადოების ნაწილში დამას, ამ კოჭლ  
აზრს. არა ერთი მარცხი მიუყენებია ჩვენი ერისათ-  
ვის. შორს ნუ წავალთ, დაბოლოს განა ქართველებ-  
მა, კომუნისტებმა ამ სოციალური საკითხის ვითომ-  
და გადაწყვეტის გოლისათვის (სოციალიზმის დამყა-  
რება!) წითელი რუსეთის მიერ საქართველოს დაპ-  
ყრობას ხელი არ შეუწყვეს? და ამგვარათ ერის სუვე-  
რენობის საკითხის სოციალურ იდეალზე დამორჩი-  
ლებით თავისი საკუთარი სამშობლოს მოღალატენი  
და ქვეყნის თავის უფლების ყელის გამოძქრეულნი  
არ შეიქნენ?

შენმა წერილმა, ძვირფასო იტა, გამანარა იმი-  
ტომ, რომ შენთვის პარველათ ყოვლისა სდგას ერის  
ბედის საკითხი, ერის თავისუფლებისა და სუვერენო-  
ბის პრობლემა, ხოლო რაც შეეხება ერის სახელმწი-  
ფობრივ წესწყობილებას, მის სოციალურ შინაარსს,  
—ეს არის საკითხი, რომელსაც სწყვეტს თავისუფა-  
ლი, ამ შემთხვევაში, განთავისუფლებული ერის ში-  
ნაურ ძალთა განწყობილება. მასხანადამე, დღეს ჩვენ  
გვაქვს გადასაჭრელი მხოლოდ ერთი საკითხი, და  
ესაა: ქართველი ერის განთავისუფლება.—და ამ  
ბრძოლის ფრონტზე ყველა, ყველა და ყველა ერთად  
უნდა იდგეს

შენმა წერილმა, ძმაო, დამაღონა ავრეთვე. ამ და-  
ღონების მიზეზი ის არის, რომ შენ ფიქრობ: თით-  
ქოს ეროვნულ საკითხზე ფიქრი და ბრძოლა ჩვენი  
თანამომღსწრე თაობის ინიციატივა და საქმე იყოს,  
თითქოს ის აზრთა სხვადასხვაობა და მიმდინარეო-  
ბანი, რომელნიც ქართულ საზოგადოებრივ წრეებში  
არიათ, ჩვენი ცხოვრებისათვის რალაც ახალი და გაუ-  
გონარი იყოს. ყველა იმ იდეას ეროვნულ საკითხში,  
რომელსაც ჩვენ გვიქადაგებენ: კომუნისტები, სოცი-  
ლისტები, არასოციალისტები (აქ სახელს მნიშვნე-  
ლობა არა აქვს) ჩვენს წარსულში უცოცხლია და სცო-  
ცხლობს კიდევ, მაგრამ საკითხი სწორედ ეს არის:  
თუ რომელია საცოცხლებელი. უბედურება ის არის,  
ჩემო იტა, რომ ქართველი თავის თავს ყველაზე ნა-  
კლებ იცნობს, ესე იგი ნაკლებ იცნობს თავის ერის ის-  
ტორიას, მის ტრადიციას, მის სულს, მის ყველაფერს.

მე აქ მოგახსენებ ჩვეულებრივ, ტიპიურ ინტელიგენ-  
ტზე. პირფერობაში ნუ ჩამომართმევ, თუ გეტყვი,  
რომ შენ ძალიან მაღლა დგებარ ასეთ ინტელიგენტზე,  
მე თვითონ ბევრს რამეს ვისწავლიდი შენგან, მაგრამ  
ჩვენი ცხოვრების უცოდინარობას მაინც კი იჩენ.  
ჩემდა სავალალოდ, ჩვენი ცხოვრების ცოდნაში  
არც მე გახლავარ დიდი სპეციალისტი, მაგრამ ცო-  
ტა რამ გამეგება, და ამიტომ ვკადნიერდები საჯა-  
როდ ვიპასუხო, საჯაროთ იმიტომ, რომ ეს საკით-  
ხი თვითეულ ქართველს ეხება.

საიდან დავიწყებ? ქართველი ერი გუშინ არ და-  
ბადებულა, არც გუშინ შეუქმნია ვინმეს, ამიტომ  
ძლიერ შორეულ წარსულიდან და დაწვრილებით  
ვერ დავიწყებ, სიტყვა გამიგრძელდება, მხოლოდ ქა-  
რთველი ერის ისტორიის ერთ დამახასიათებელ,  
უმთავრეს მოვლენაზე კი შევჩერდები. ქართველ  
ერს ისეთი გეოგრაფიული მდგომარეობა უჭირავს,  
რომ ყოველი იმპერიისთვის, რომელიც თავისი მხე-  
დრული ვაზრდით მის სამზღვრებს უანლოვდებოდა,  
იგი სანუკვარი ხდებოდა. საქართველოს ბედი დაკა-  
შირებულია მის საზღვრებზე და მისი გეოპოლიტი-  
კური ვითარება მისი ისტორიის ქვაკუთხენია. ამით  
აიხსნება ის ტრადიკულათ დაღვრილი სისხლი, რო-  
მლითაც ქართველი ერის საბინადრო გაყენილია.  
ქართველი ერის ისტორია არის ქართული ხმლისა  
და ჯვარი ვახისა უბედური და ბედნიერი ამბავი.  
ხმალითა და კულტურით ქართველი ერი აწარმოებ-  
და განუწყვეტელ ბრძოლას თავისი თვითმყოფობისა  
და დამოუკიდებლობის დასაცავათ. მტერი მტერს  
მოსდევდა იმპერიები იმსხვრეოდა, ქართველი ერის  
ბედი დასაცავათ სისხლს მოითხოვდა და რაც ასე  
მწარე ბედის პირობებში ქართველმა ერმა შექმნა  
თავის ისტორიის გზაზე (გზა, რომელაც უსახელო  
გმირთა ძვლებითაა მოფენილი!), მას ვერავინ დაუ-  
წყუნებს, პირიქით: ეს არის გენიალი მიღწევა და თვით  
ერის გენიოსობა: ჩვენი მხატვრობა, ხელონ მოძღვ-  
რება, სიტყვაკაზმული მწერლობა, და საერთოდ  
მთელი სულიერი მუშაობის ნაყოფი, ბევრ სხვა ერი-  
სას სჯობნის, ასე იფასებენ მას უცხოელებიც. ქარ-  
თველი ერის ბრძოლა იყო მუდმივი და შეუწყვეტელი.

ქართველ ერს ბედი მუდამ განადგურებით ემუ-  
ქრებოდა და იგი იბრძოდა სისცოცხლისათვის: ბე-  
დის წინააღმდეგ გახსოვს ნიკოლოზ ბარათაშვილის  
გიჟურ ქროლვაში გადმოყვილი:—«გასწი მერანო...  
ვადამატარე ბედის საზღვარი! თუ აქამდე არ ემონა  
მას არც აწ ემონოს შენი მხედარი!»... მე გვინა აქ  
ამ ძლიერ სიტყვებში უდიდესი სიძლიერით არის გა-  
მხატვრული ქართველი ერის მისწრაფება: შეურიგე-  
ბლობა თავის ბედთან და ბრძოლა ბედის საზღვრე-  
ბის, გადასალახათ. ერთი ასეთი უკანასკნელი დიდი  
ბრძოლა გარდაიხადა ქართველმა ერმა რუსეთის წი-  
ნააღმდეგ მისი პირველი შემოსვლის შემდეგ, როდე-  
საც ძველი საქართველო სამუდამოთ დაემხო. მას-  
თან ერთად მისი ეროვნული ხელმძღვანელი თავად-  
აზნაურობა პოლიტიკურად მოისპო, ამიტომ თით-  
ქოს გარდაიცვალა ქართველი ერი; და მუდამ ამოღე-

ბული შიშველი ეროვნული ხმალი ესლა ქარქაში ჩაიქანგა, ჯვარსა ვაწისას დაავლიჯეს ის წმინდა თემები, რომლითაც იგი იყო შეკრული, და როდესაც ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან სამშობლოსაკენ მოემგზავრებოდა, მან აღარ იცოდა: თუ რას ეტყოდა მას მისი მამული. სამწუხაროთ, დრო არ არის ილიაზე სიტყვა გავაგრძელო, ხოლო ერთს კი ვიტყვი: ილია იყო ქართული საზოგადოებრივი (ილიობას თვითეული ახალგაზრდა ნატრობდა!) ცხოვრების ბურჯი, ქართულათ მოაზროვნე და ქართული იდეების მატარებელი. მის ეროვნულ ფილოსოფიას: «ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს»-ო ქართველი ხალხი ძლიერ გვიან ჩასწავდა, სანამ თვით ეს ხალხი ეროვნული პოლიტიკური შეგნებით თვით არ დასდგა ფეხზე. ამის მიზეზი უფრო ობიექტიური იყო, ვინემ სუბიექტიური. ილია ქადაგებდა ერის დაცვაზე და მოუწოდებდა ყველა მიმართულებას «ეროვნული ვინაობის» დაცვის ინტერესებისათვის და თავისი პირად საზოგადოებრივი მუშაობით ქართველი ერის სულიერ ნივთიერ აყვავებას ხელს უწყობდა. ეროვნული ვინაობის დაცვა.—იყო ილიას დროშა და მისი აფრიალება ისე აუცილებელი იყო მამის, როდესაც ქართველ ერს ყოველმხრიდან შემოესვრით ემუქრებოდნენ. ამიტომ მოუწოდებდა იგი ყველას ამ ეროვნული ვინაობის დაცვის დროშისაკენ. «სხვა საგანი,—სწერდა იგი 1883 წ.—ამაზედ უმჯობესი, ამაზედ უსაქიროესი არა აქვს ახლანდელ საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაცკი შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს».

ამ დროს ჩვენში ნაროდნიკები მოღვაწეობდნენ. ეს იყო ქართველ ინტელიგენტთა დიდი ჯგუფი, რომელსაც რუსული ნაროდნიკული იდეალები მოეცა და ქართულ ნიადაგზე სხვადასხვა ფერის სოციალისტურ-უტოპისტურ—რუსული იდეალების დამყნას სცდილობდა. ეს იყო ხალხი, რომელსაც საკუთარი თავი არ გააჩნდა და რუსულათ დამხადებული უნიდაგო და ჩვენი ცხოვრებისათვის შეუფერებელი გაზეპირებული, მზამხარეული იდეებით ქართულ საზოგადოებრივ აზრს აოჩნებდნენ. ქართული ნაროდნიკების მოღვაწეობა იდეოლოგიის დარგში იყო ის დიდი ჭირი, რომელიც ქართულმა აზროვნებამ საერთოდ მოინელა, მაგრამ მისი ყალი კი დღემდისაც ჩვენი ხალხის ერთ ნაწილს ვერ მოუშორებია. მე მოგახსენებ ეროვნულ საკითხზე. რით უპასუხა ამ ხალხმა ილიას მოწოდებას ეროვნული ვინაობის დაცვის შესახებ?

რუსულ ნაროდნიკულ იდეალთა მატარებელ ქართულ ინტელიგენტებს მე ვანაწილებ იმ ნიშნის მიხედვით, თუ რომელი ჯგუფი ეროვნულ საკითხს როგორ უყურებდა. მე ვიციყვებ აქ მუხრანსკის, რომელსაც წერით ერთა მოსპობა სწამდა და არ ვჩერდები ჯაბადაარზე. რომელიც აშკარა ნილიოსტი იყო. ნაროდნიკები ეროვნულ თავისუფლებას საერთოდ აღიარებდნენ. ეს პრინციპიალურათ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ: პრინციპი თავისთავად საკითხს არა სწყვეტს, საქმე მეთოდია, საშუალება და გზა, რომლითაც მიდიხარ. გზამ კი შეიძლება ისე დავაშორროს პრინციპს, რომ ამისაგან აღარაფერი დარ-

ჩეს და ეროვნული თავისუფლების მაგივრათ ეროვნულ ნილიოსტამდე მიხვიდე. ეს დაემართათ ქართველ ნაროდნიკებსაც. ნაროდნიკების პირველი ჯგუფი ილიას მოწოდებას ასე უპასუხებდა: ჯერ ეკონომიური თანასწორობა, შემდეგ ეროვნული. ცნობილი გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი) 1882 წ. სწერდა: იბრძოლეთ პირველათ ყოვლისა ეკონომიური ჩაგვრის მოსასპობათ, დაამყარეთ ეკონომიური თანასწორობა და ეროვნული ჩაგვრა თავისთავად მოისპობა. მასვე მისძახოდა ერთ დროს ნ. ურბნელი (ხიზანაშვილი): «ჯერ ძმობა განახროციელეთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ გვიქადაგეთ, სხვადასხვა მიმართულებას თავი დაანებეთ და ერთ ულელში შეეხითო... მაგრამ მამულიშვილობას წინ და უკან უნდა მისდევდეს აწინდელი ევროპის პროგრესიული პროგრამის შესრულება»... ესე იგი სოციალისტური პროგრამის განხორციელება. ამ პასუხის შემდეგ თითქმის 50 წელიწადი გავიდა, სოციალიზმი არ დამყარებულა და მრავალი ერის თავისუფლების საკითხი კი უიმისოთ გადაიჭრა. აქ აღნიშნული ნაროდნიკული დებულება მე ნილიოსტურათ მიმაჩნია, არსებითად იგი ეროვნული თავისუფლების საკითხს უარყოფს, რადგან აქ, ერთი მხრივ, ეროვნული საკითხის გადაწყვეტა სოციალურ საკითხზე დაქვემდებარებული, მეორე მხრივ, იგი კბორკავს და ახრჩობს ერის ბრძოლის უნარის განვითარებისა და ფრთის გაშლის შესაძლებლობას. სოციალიზმის საკითხი არის პირველად ყოვლისა ეკონომიური და შემდეგ იურიდიული, ეთიური და სხვა საკითხი, ეროვნული საკითხი კი სრულიად გარკვეული დისციპლინის საკითხია: ერის თავის უფლებისა და თავის სუვერენობის საკითხი. ეს ვერ გაეგოთ მათ, და ვერ გაუგია ბევრს დღესაც. ნაროდნიკთა შემდეგი ჯგუფი აღიარებდა, როგორც პირველი, ეროვნულ თავისუფლებას საერთოდ, ქადაგებდა ნივთიერ სამართლიანობის დაწესებაზე და ეროვნულ თავისუფლებას, ხოლო იმ დამატებით, რომ იგი პრაქტიკულ მუშაობასაც მოითხოვდა ეროვნული კულტურის აყვავებისა და გაძლიერების შესახებ. ბ. იოსელიანმა კი მთელი პროგრამა წამოაყენა, იდეა კოსმოპოლიტური და უნივერსალური: ავტონომიის საფუძველზე სახელმწიფოთა მოწყობა. მე პირადათ საინტერესო და დამოუკიდებელ მოაზროვნეთ მაშინდელ პირობებში მქედლიძე (ბოსლეველი) მიმაჩნია. მას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა ეროვნულ ბრძოლაზე და ამ უკანასკნელს პოლიტიკურ ბრძოლას უკავშირებდა. 1882 წ. გაზ. «ივერია»-ში: «მაგრამ მოვა დრო და ეს შორსაც აღარ არის, როდესაც დღევანდელი მდგომარეობა დამონებული ხალხების გაძლიერებს მათში თვითცნობიერებას, გამოიწვევს რეაქციას, და მაშინ ეს დამონებული ხალხები შეანძრევენ ძალუბამ თანამედროვე წყობილებას და აუწყებენ ქვეყანას ახალ მოძღვრებას. ჩვენი დრო არის დრო ნაციონალური მოძრაობისა, ჩვენმა დრომ უნდა მისცეს პასუხი ნაციონალურ კითხვას». ამ სტრიქონების ავტორი, სამწუხაროთ, მალე დაიღუპა ტრალიკულათ.

ქართველი ინტელიგენტის აზროვნების ისტორიიდან ერთს ღირსშესანიშნავ მოვლენას გვერდს



ვერ ავუვლით. ესაა ეგრეთ წოდებული ქენევის კონგრესი, რომელიც 1874 მოხდა. სავალალოა, რომ დღემდე ამ კონგრესის ამბავი მოთხრობილი არაა, მაგრამ ერთი რამ არის ცნობილი: ამ კონგრესზე აღიარებულ იქნა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და ფედერაციის პროგრამა და 70 წლებში გწერეთელი უკვე ზრუნავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციაზე. ამ კონგრესს, როგორც სჩანს, წინ უძღოდა ახრთა დამუშავება. უკვე 1873 წელში პირველ აპრილს გამოიცა პირველი სოციალისტური ქართული ჟურნალი (უცხოეთში): «დროშა», რომლის მეორე ნომერი შემდეგ პროგრამას აყენებდა: «აი ჩვენი საზოგადოებრივი იდეალი: თავისუფალი ფედერაცია ყველა კავკასიელ ხალხებისა, განწყობილითა ყველა მოქალაქეების ეკონომიურ თანასწორობისამებრ... წარმოვიდგინოთ ახლა შემდეგი, იქნება შეუძლებელი გარემოება წარმოვიდგინოთ, რომ რუსული ელემენტი, რომელიც ორნაირათ გვაერთებს ჩვენ (ჯერ ერთი კანონების და მმართველობის და მეორე იმ სიძულვილით, რომელსაც ის ჩვენ ყველაში სახავს), წარმოვიდგინოთ მეთქი, რომ ეს ელემენტი უცრად გაქრა კავკასიაში და დაეზრით თავისუფალი. ამ ელემენტის გაქრობასთან ერთად ქრება ყველაფერი რაც კერძო ხალხებს აერთებდა, და ეს ხალხები ხელახლავ ერთმანეთის წინააღმდეგ რჩებიან, რა ძნელი იქნება მაშინ ამ გაუწყობელ ხალხების შეერთება. ამისთანა გარემოების მხედველობით ჩვენ ახალგაზღვრა მოვალეობათ ვთვლით ადამიანთა მდგომარეობის დამზადებას ეცადონ, რომელშიაც ყველაზე უფრო ნაკლებ ისახებოდეს ეს ნაციონალური წინააღმდეგობა...» ესე იგი უნდა დაარსებულყო «ერობის თვითმართველობა». ნუ ვაგვიკვირდება, ჩემო იტა, რომ ეს ამარაწერი ეკუთვნის თვითისეულ სომეხს იზმილიოვს. მაგრამ აქაც იგივე მოვლენაა, არსებითად, როგორსაც ჩვენ ვხედავდით ზემოთ. იმის მიუხედავად, რომ აქ კავკასიის ხალხთა ფედერაცია აღიარებულია და ამგვარათ კონკრეტულათ პროგრამა მოცემულია. აქაც «ყველა კავკასიელ ხალხების თავისუფალი ფედერაციის საკითხი» დამოკიდებულია «ეკონომიურ თანასწორობის» საკითხის გადაჭრასთან. დამოუკიდებლათ და საინტერესათ მოსჩანს პირველად სოციალისტი და სეპარატისტი, და სიკვდილამდე სეპარატისტი დავით მიქელაძე (მეველე). ზემოაღნიშნული ჟურნალის № 3 იგი სწერდა: «მე გგონია, მშვიდობიანი პროგრესი, ერობის დაარსების მოწოდება, სამოქალაქობრივო წყობილება მომავალში, ნაფიცი კაცები სამსჯავროში, ვერც ერთი ესენი ვერ გვიხსნის, და ჩვენ მოგველის ადრე თუ გვიან გაქრობა, როგორც ნაციონალიზმს... მაშ რა ვქნათ? იკითხავს ვინმე. ვუპასუხებთ: ყოველი ჩვენი ღონე, ცოდნა, გამოცდილება, ენერჯია, უნდა მოვახმაროთ იმას, რომ ჩვენი ხალხები, როდესაც რუსეთი გარეშე მტერს შეებმება,—და ეს უამრ არ არის შორს,—მაშინ ისინი იარაღით ხელში ბრძოლის ველზე გამოვიდეს დიდი და პატარა. ამ სანატრელ და დიდებულ დროს... ერდგულათ ძმურის თანხმობით უნდა შევძახოთ: «თავისუფლება ან სიკვდილი!».. ასეთი იყო დავით მიქელაძის: საქართველოს დამოუ-

კიდებლობა და რუსეთის გარეშე გართულებით სარგებლობა თავისუფლების მისაღწევათ. ამას შემდეგ რუსეთს არაერთჯერ ჰქონია ომი და რევოლუციაც, მაგრამ მიქელაძის ეს გადმომდინილი გაუგონარი დაბრჩა. ქართველი ხალხი მხოლოდ მაშინ იფშენებდა თვალს და იწყებდა გზის ძებნას თავის ცხოვრებისათვის. მთელ ამ ინტელიგენტთა ჯგუფებიდან ნაწილი და უფრო დიდი ნაწილი დაბოლოს მივიდა «ივერია»-სთან, ესე იგი დადგა ილია ჭავჭავაძის დროშის ქვეშ, ნაწილი ზდანოვიჩთან ერთად შეიქმნა სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის შემქნელი და წევრი, ნაწილი მიეკედლა ახლად წარმოშობილ სოციალდემოკრატიულ მიმდინარეობას საქართველოში. ეს იყო ხანა პარტიების შექმნისა და საზოგადოებრივი ცხოვრების აღშულებისა. ამ საკითხს ცოტათი და გაკვირთ უკვე შევხვებ ჩემს წერილებში: «ძველი და ახალი საქართველო», და უადგილობის გამო აქ ვეღარ შევჩერდები. მხოლოდ აღვნიშნავ კიდევ ერთ საინტერესო მომენტს.

როგორც იცი, ძველი თაობიდან ახლად ფეხდგმულ მარქსისტულ მიმდინარეობას მიეკედლა (ერთგვარათ თავშიაც ჩაუდგა) გიორგი წერეთელი, ეს ის ადამიანი, რომელიც უკვე 70 წლებში ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკებზე ფიქრობდა. მას ძლიერ აწუხებდა ეროვნული საკითხი და სცდილობდა მაშინდელი მარქსისტული გაგება ეროვნულ საკითხთან გადაება და დაეკავშირებია. ერთს თავის კერძო წერილში 1894 წელს გიორგი წერეთელი სწერდა ეგნატე ნინოშვილს: «ნამდვილი სოციალიზმი იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ტერიტორიიდან ავბარგდეთ, ჩვენი ისტორია დავივიწყოთ, ჩვენი ტიპი უკუვავადოთ, ქართული დავივიწყოთ, რუსული ენა სვეითთვისოთ და რუსები გავხდეთ. არა, სოციალიზმი ინდივიდუალური თვისების, როგორც კერძო ტიპისას, ისე ეროვნებისას, არ ენება, ენება კი არა, კიდევ იფარავს და აქ არის პროგრესიული მხარე თვით სოციალიზმისა... ჩვენს ბელში მდგომარე ხალხი ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას. ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას, და ამასთანავე ჩვენსავე ქვეყანაში ვავრცელებთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რაიმენაირათ მოვსპოთ. რუსეთთან ძმობის გამოცხადება მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრძკალებში ვცევართ გამოკრული და რუსის ხალხიც იმას სცდილობს, რომ თავის მთავრობის ძალღონით ჩვენ წავგართვას უხსოვარ დროიდან ჩვენი კუთვნილი მიწაწყალი, თბილი ჰაერი და მშვენიერი ბუნება და თვითონ დაიჭიროს. აი, ამ გარემოების ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენცა ვართ, არ განთავისუფლებიან სხვა უფრო ძლიერის ნაციის მონობისაგან. ჩვენ რომ... სრული განთავისუფლებული ვიყოთ, მაშინ დიასაც ვავშლით კოსმოპოლიტიურ ბაირაღს და მთელს ქვეყანას თანასწორი უფლების ძმებათ ვაღიარებთ. მაგრამ დღეს ხომ პოლიტიკურ მონობაში ვართ გამოკრული, კოსმოპოლიტიური სოციალისტური პრინციპი ყელში დანას გვიყრის და

ჩვენს ლეშზე რუსის ხალხი გაიძღვებ მუცელს... ამით მე მიუახლოვდი ჩვენს თანამომსწრე უფროსი თაობის მოღვაწეობის დროს, და აქ დავასრულე ბარათს, მაგრამ ორიოდ სიტყვას საერთოდ უკვე მოთხრობილის შესახებ მინც ვიტყვი. როგორც დანახავდი: დავით მიქელაძე თავის სეპერატივით სდგას ცალკე. დანარჩენი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი არის ერთი უმთავრესი: ეროვნული საკითხის გარდაწყვეტა დაკავშირებულია ეკონომიური თანასწორობის დამყარების საკითხთან და ეროვნული თავისუფლების იდეა დამორჩილებულია სოციალიზმის განხორციელების იდეას. ეს აზრი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნაროდნიკების შემდეგაც და დღესაც როლს თამაშობს. იგივე აზრი ბოლშევიკებმა მკაცრი ჩამოყალიბებით მოგვცეს, ვინაიდან ერი გამოაცხადეს მათ სოციალიზმის მასალათა და საშუალებათ. ქართული ნაროდნიკული ეროვნული შეხედულების განვითარებამ მოგვცა ჩვენ ისეთი იდეოლოგია, რომლითაც გამართლებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოსა და სამშობლოს ღალატი, უდიდესი ღალატი, როგორც ეს ამ შემთხვევაში იყო. სოციალიზმის ავღაბრული (პრიმიტიული) გაგებით ქართველ ერს რომ ზიანი მიადგა,—ასეთი რამ თვით რუსეთს არ დამართია. და აი დღეს, როდესაც ქართველი ერი უბედური რუსეთის უბედურ მსხვერპლათ არის გადაქცეული,—ყველასათვის, ვისაც თავისი თავი და თავისი

ერი ესმის,—ერთი მიზანია მისაღწევი: ჩვენი ერის განთავისუფლება. სხვა რაიმე მიზანი და ბრძოლის საკითხი დღეს ჩვენ არა გვაქვს. სოციალიზმის საკითხი მეორე კატეგორიის საკითხია, ერის თავისუფლებისა კი—პირველი და გარდაუვალი, მუდმივი. ჩვენს ერსაც, რომელსაც მრავალსაუკუნის მძიმე ისტორია თავის მაგარ ბეჭებზე მოაქვს, გაუვლია სხვადასხვა ეკონომიური საფეხური, ნორმალურათ იგი უნდა ჩაებას თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობაში—აქ იქნება ეკონომიური უთანხმოება და ბევრი იბრძოლებს მის წინააღმდეგ. მაგრამ ერის უფლების საკითხი და ერის განთავისუფლება უფრო ფართო და თავისუფალ ასპარეზს მისცემს ასეთ ბრძოლას, ვინემ იმ პირობებში, როდესა ერი სხვის მონობაშია ჩავარდნილი. ერის საკითხი არ არის სოციალპოლიტიკის საკითხი და ამგვარათ არც მისი მეთოდი დამორჩილება ამ უკანასკნელს. ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის მეთოდი მრავალგვარია, არსებულ პირობებზე დამოკიდებული; ხოლო ერთი უდავოა: ყველა იქ უნდა იდგეს, სადაც ერის ინტერესების დაცვა საჭიროა და ამ მიზნისათვის, როგორც ამას ჩვენი დიდი ილია იტყვოდა, ამ «ვინაობის დაცვისათვის» ყველამ, ვისაც კი შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად—იმოქმედოს» პირველ ყოვლისა თავისუფალი საქართველო, ახალი 26 მაისი.

ვიკ. ნოზაძე.

იბრანდიკლების ბრძოლა თავისუფლებიხათვის.

III.

ლორდ როზბერის და კამბელ ბანერმანის ხელმძღვანელობის დროს ინგლისის ლიბერალები ირლანდიის კომრულს აღარ უჭერდნენ მხარს ისე გადაჭრით, როგორც ამას გლადსტონის დროს შეგბოდნენ. ამ საკითხის გამო ლიბერალურ პარტიაში დაიბადა ორი სხვადასხვა აზრი. ერთი ნაწილი ლიბერალებისა აგრძელებდა გლადსტონის პოლიტიკას და კომრულს მხარს უჭერდა, მეორე ნაწილი კი კომრულის წინააღმდეგი იყო და მის განხორციელებას კონსერვატორებთან ერთათ ყოველივე ზნით ხელს უშლიდა. ამიტომაც იყო, რომ, თუმცა 1906 წლიდან ლიბერალებს დიდი უმრავლესობა ყავდათ პარლამენტში, მაგრამ ოთხი წლის განმავლობაში ასკვიტმა ძლივსა მოახერხა კომრულის პროექტის პალატაში შეტანა 1912 წელს. ამ პროექტით აღელვებულმა კონსერვატორებმა მაშინვე მიეყვეს ხელი ინტრიგებს და კომრულის წინააღმდეგ მთელი ულსტერი აამხედრეს. ულსტერი, ეს ჩრდილოეთ ირლანდია, წინანდელ საუკუნეებში ირლანდიელ კათოლიკეთა იქიდგან ძალით გარეკის შემდეგ დასახლებული იყო ინგლისელ პროტესტანტებით და ამ უკანასკნელთ ინგლისის მიერ ყოველთვის ყოველგვარი შეღავათი ეძლეოდათ. ულსტერიც ამ მის პრივილეგიურ მდგომარეობას ვერ ელოდა და არ უნდოდა კომრულის შემოღებით ირლანდიის სხვა ნაწილებს გათანასწორობოდა. ინგლისი მუდამ სთესავდა

შულოს და სიძულვილს ირლანდიელთა შორის და შემდეგ ამით სარგებლობდა. კონსერვატიულ პარტიის ცნობილი ლიდერები და ხელმძღვანელები საჯაროთ აცხადებდნენ, რომ კომრულის წინააღმდეგ ბრძოლაში, იქნებოდა ეს ბრძოლა კონსტიტუციონური, თუ არაკონსტიტუციონური, მთელი კონსერვატიული პარტია ულსტერთან იქნებოდა. ასეთი განცხადებებით ულსტერი თანდათან თამამდება. პალატაში ასკვიტის მიერ კომრულის ბილის შეტანის შემდეგ მთელ ულსტერში ამ ბილის საწინააღმდეგოთ დიდი მოძრაობა იწყება. ადვენენ იქ დრბებით მთავრობას, რომელმაც უნდა დაიწყოს მოქმედება, თუ ვინცობაა კომრულის განხორციელებას შეუდგებიან. კრფენ მოხალისეებს, ვარჯიშობს ჯარი, ყოველივე მხრიდან შემოაქვთ ამუნიცია, იარაღი. შეიარაღებულ მოხალისეთა რიცხვი მალე 100.000-მდე აღწევს, ემზადებიან საომრათ. და ყველაფერი ეს ხდება პოლიციის, სამხედრო პირების და სახელმწიფოს სხვა მოხელეთა თვალწინ. რას შვრება ამ დროს ლიბერალების მთავრობა, რომელმაც თვითონ შეიტანა პალატაში კომრულის კანონპროექტი? დემოკრატიულ ქვეყანაში უმცირესობაში მყოფი ერთი პარტია, რომელიც თავის თავს წესრიგის და კანონიერების პარტიას უწოდებს, ხმა მალა აცხადებს, რომ ის «ყოველივე საშუალებით» შეებრძოლება ერთ იმ კანონთაგანს,



რომელიც მას არ მოსწონს, იარაღდება და უმრავლესობის წინააღმდეგ ომისათვის ემზადება. მთავრობა მხოლოდ სიტყვიერათ აცხადებს პროტესტს, საქმით კი არაფერს შვება. ულსტერი იარაღდება, რომ ხალხის წარმომადგენლობის მიერ მიღებულ კანონს წინააღმდეგობა გაუწიოს, მთავრობა კი ყველაფერ ამას ითმენს და უდიდეს სისუსტეს და უზუსაითობას იჩენს.

ირლანდიელებისათვის უკვე ცხადი შეიქნა, რომ ძალისათვის მათ ძალა უნდა დაეპირდაპირებინათ, თორემ ინგლისის კონსერვატორები ულსტერელებთან ერთათ ირლანდიის ჰომ-რულს დაასამარებდენ, ლიბერალების დამბლა დაცემული მთავრობა კი ირლანდიის უფლებებს ვეღარ გამოექიმავებოდა. ულსტერის ერთი წლის მზადების შემდეგ, ესლა ირლანდია იწყებს მზადებას თავის დასაცავათ. მხოლოდ ირლანდიელი მოხალისენი ვერ არიან ისევე კარგათ შეიარაღებულნი, როგორც ულსტერელები. მთავრობა ულსტერელების შეიარაღებას და ულსტერში იარაღის შეტანას ხელს არ უშლიდა და არ ეწინააღმდეგებოდა, ირლანდიის სხვა ნაწილებში კი იარაღის შეტანა სასტიკათ აღკრძალა. როცა მიუხედავათ ამ აღკრძალვისა, იარაღი მაინც იქნა შეტანილი ირლანდიელი ნაციონალური რაზმების შესაიარაღებლათ, მთავრობამ ამას იარაღით ხელში წინააღმდეგობა გაუწია, რამაც ირლანდიელების სამართლიანი გაღიზიანება და აღშფოთება გამოიწვია. ამნაირათ დიდი ომის წინა დღეებში, 1914 წელს, ერთი მხრივ შეიარაღებული ულსტერი ჰომ-რულის განხორციელებას აჯანყებით ემუქრება, მეორე მხრით კი მთელი ნაციონალისტური ირლანდია თავისუფლების მოსაპოვებლათ ემზადება და ირანძება. თავდაბნეული მთავრობა კი ამ დროს საკითხის მოგვარებას კომპრომისით ფიქრობს. ასკვიტი წინადადებას იძლევა ავტონომიურ ირლანდიის საზღვრებიდან წ წლის ვადით გამორიცხულ იქნას ულსტერის ის პროვინციები, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა ასეთ წინადადებას ხმას მისცემდა. კონსერვატორები ამას უარს ამბობენ და მოითხოვენ ირლანდიის საზღვრებიდან მთელი ულსტერის სამუდამოთ გამოცალკევებას. დაბოლოს პარლამენტში ვადის ჰომ-რულის პროექტი მეტათ შეკვეცილი უფლებებით, განსაკუთრებით ფინანსიურ საკითხებში. ასკვიტი აგრეთვე პირდება ულსტერს, რომ სანამ ჰომ-რული ფაქტიურათ განხორციელდებოდეს, ის შესწორების სახით სპეციალურ ბილს შეიტანდა პალატაში და მით ულსტერს დააკმაყოფილებდა. ეს უკვე დიდი დათმობა იყო ანტიკომპრულისტებისთვის.

როცა დიდი ომი ატყდა, ინგლისმა მასში მიიღო მონაწილეობა იმ საბაბით, რომ გერმანია საერთაშორისო შეთანხმების წინააღმდეგ პატარა ბელგიას შეესია და მისი უფლებები ფეხით გასთელა. ინგლისმა მცირე ერთა დაცვის ღონისძიებად მოიხიროლა. საუკუნოებით უფლება აყრილ და დამონავებულ ირლანდიელ ერში ერთნაირი ილიუზია დაიბადა ინგლისის მიმართ. ინგლისის ესლა ხომ ასე ბევრს ლაპარაკობდა პატარა ერების თავისუფლებასზე! შეიძლება ინგლისმა ესლა შესცვალოს თავის პოლიტიკა ჩვენდა-

მი და ჩვენ თავისუფლებასზედაც სერიოზულათ იზრუნოს. ფიქრობდენ ირლანდიელები. ომის გამოცხადების პირველ დღესვე ირლანდიელ ნაციონალისტების ლიდერი—რედმონდი მთელი ირლანდიის სახელით ინგლისს ლოიალობას უცხადებს და ომში დახმარებას პირდება. და მართლაც, 4 მილიონ თავის მცხოვრებზე ირლანდიამ ინგლისს 200.000 საუკეთესო მეომარი მისცა, რომელნიც უდიდეს გმირობას იჩენდენ დიდ ომს დროს. ისტორიაში ეს პირველჯერ იყო, რომ ირლანდია იარაღით ხელში ინგლისის მხარეზე იბრძოდა, როგორც მისი მოკავშირე. როგორ დაფასა ინგლისმა ირლანდიის მისდამი ასეთი ლოიალური განწყობილება? არ გამართლდა ის აზრი, ვითომ ინგლისი ირლანდიას სამაგიეროთი გადაუხსითდა და თავის ინიციატივით მას თავისუფლებას მიანიჭებდა. ვხედავთ კი სრულიათ წინააღმდეგს. ჰომ-რულის ბილი პალატამ მიიღო ომის წინა დღეებში. მაგრამ იმის მაგიერათ, რომ ეს ბილი დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გაეტარებინათ, ომის დაწყების ორი თვის შემდეგ ასკვიტის მთავრობამ ჰომ-რულის ირლანდიაში შემოღება ომის გათავების შემდეგისათვის გადასდო. ირლანდიელები თხოულობდენ, რომ მათ ჯარების ნაწილებს მიცემოდათ უფლება ნაციონალური ტანისამოსი ეტარებინათ და თავის საკუთარი დროშა ქონდათ. ასკვიტი ჯერ პირდება მათ ამ მოთხოვნის შემსრულებას, მაგრამ ეს მისი დაპირება არასოდეს არ ხორციელდება. ულსტერის ასეთივე მოთხოვნისთვის კი მაშინვე კმაყოფილდება. კათოლიკე ირლანდიელებს ოფიცრებათ პროტესტანტ ინგლისელებს უნიშნავენ. ულსტერის ლიდერს კარსონს აქვს გავლენა ლონდონში და მას მთავრობა ყურადღებით უსმენს. ირლანდია და მისი ლიდერი რედმონდი ვითომ არც კი არსებობდენ. ირლანდიაში უკმაყოფილება თანდათან იზრდება და ინგლისის დამოკიდებულებას ჰომ-რულის საკითხისადმი ყველა იქვის თვალით უყურებს. ინგლისს ირლანდიელები გაყავს ომში მტერთან საბრძოლველათ, სარგებლობს ესლა ჩვენი ფიზიკური ძალით. შეიძლება მან ომი მოიგოს და შემდეგ გამარჯვებულმა ჩვენ არც კი მოგვაქციოს რამე ყურადღებათ. ამბობენ ირლანდიელები. თუ ომის დაწყებისას ირლანდიელ ნაციონალისტების ლიდერს—რედმონდს დიდი ავტორიტეტი და გავლენა ქონდა ირლანდიაში, ესლა მის და სხვა ირლანდიელ დეპუტატების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ვერც პარლამენტის ფრაქციამ და ვერც მისმა ლიდერმა—რედმონდმა შესაფერი გამჭრიახობა და შორსმჭვრეტელობა ვერ გამოიჩინეს და შექმნილ მდგომარეობას აღდო ვერ აუღეს, საყვედურობენ ირლანდიაში. საქირო იყო, რომ მათ ინგლისის კრიტიკულ მდგომარეობით ესარგებლათ, ეფიქრათ იმაზე, რომ ინგლისის გასაჭირი ირლანდიისათვის შემთხვევაა და ომში მონაწილეობისათვის წინასწარი პირობები უნდა წამოეყენებიათო. რედმონდი კი ყველაფერზე უპირობოდ დასთანხმდა, ინგლისელების უბრალო სიტყვას ენდო და მით თავი მოიტყუილაო. ინგლისელებმა იარაღი ვითომ წვრილი ერების თავისუფლების დასაცავათ აიღეს ხელში, თვით ირლანდიას კი ამ თავისუფლებასზე უარს

ეუბნებიანო. ომის ენტუზიაზმი თანდათან ქრება ირლანდიაში. ომში წამსვლელ მოხალისეთა რიცხვი ჯერ თვალსაჩინოთ მცირდება, დაბოლოს თვით გაწვეულნიც კი უარს ამბობენ ომში წასვლაზე და საერთო ბოიკოტს აცხადებენ. მაგრამ ამავე დროს ირლანდიაში დგება მოხალისეთა რაზმები «მოქალაქეთა ჯარის» სახელით. ამ ჯარს უმთავრესათ შეადგენენ მუშები და მას ხელმძღვანელობენ ცნობილი ირლანდიელი რევოლუციონერები, რომელნიც მიზნათ ირლანდიის ინგლისიდგან სრულ გამოყოფას ისახავენ. ამ რევოლუციონურ მოძრაობას ზურგს უმაგრებენ ამერიკელი ირლანდიელები, რევოლუციონერები კავშირს აბამენ აგრეთვე გერმანიასთან, შემოაქვთ იქიდან იარაღი და სხვა.

1916 წლის აპრილში ირლანდიაში იფეთქა აჯანყებამ სწორეთ იმ დროს, როცა საშისოთ კიდევ არ იყო ყველაფერი მზათ. ინგლისმა ისარგებლა ომიანობის დროთი და მოძრაობა, იარაღით ხელში, მალე ჩააქრო. დანგრეულ იქნა ქალაქ დუბლინის ერთი ნაწილი, დახვრიტეს რევოლუციონერთა 16 ხელმძღვანელი, დაიჭირეს 3000 კაცამდე და ადმინისტრაციული წესით 1800 კაცამდე დროებით გადასახლეს ინგლისის სხვადასხვა ადგილებში. რევოლუციონურ მოძრაობის ხელმძღვანელთა შორის იყვნენ: ირლანდიის მუშათა მოძრაობის დიდერი—კონალი, გამოჩენილი პროფესორები და მწერლები. როგორც პირსი, მაკონანი, იოსებ პლონკეტი და სხვები. ამ ბრძოლაში დაღუპულნი ირლანდიის ერისათვის ნამდვილ გმირებათ გახდენ შემდეგ, მათზე ბევრი ლეგენდები დადიოდა და ათასნაირი ლექსები იწერებოდა. ირლანდიელმა ქალმა—გიფფორდმა, პლონკეტის საცოლემ, რომელიც ცნობილი იყო თავის სილამაზით, პლონკეტის დახვრეტის ერთი საათით წინ დაიწერა მასზე ჯვარი, რომ მას საშუალება მისცემოდა პლონკეტის გვარი ეტარებინა. კონალი დახვრეტის წინა წუთებში თავის ცოლს და ქალიშვილს მხიარულათ და ალტაცებით ეუბნებოდა, თუ როგორ უმადლოდა ის ღმერთს ამ დღემდინ მოღწევისა და სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მიღებისათვის. აჯანყებულებს ესლა უთანაგრძობედენ ისინიც კი, ვინც წინეთ ბრძოლის უკიდურესი ზომების წინააღმდეგნი იყვნენ. მთელ ირლანდიაში ანტიინგლისური სულიერკეთება კიდევ უფრო გაღრმავდა და გაიზარდა, ინგლისის და ირლანდიას შორის ხიდი სამუდამოთ ჩატყდა.

1917 წელს ლოიდ ჯორჯი, რომელიც ასკვიტის შემდეგ მთავრობას თავმჯდომარეობს 1916 წლის დეკემბრიდან, წინადადებას აძლევს ირლანდიის ყველა პოლიტიკურ პარტიებს შეიკრიბონ და გამოიმუშავონ ბრიტანეთის იმპერიის ფარგლებში ავტონომიურ ირლანდიის კონსტიტუციის პროექტი და აღუთქვამს მათ, რომ ის ამ პროექტს შემდეგ პარლამენტს წარუდგენდა. ირლანდიის ზომიერი ნაციონალისტები რედმონდის ხელმძღვანელობით თანხმდებიან ლოიდ ჯორჯის წინადადებაზე და მთავრობის წარმომადგენლებთან ერთათ იკრიბებიან ქალაქ დუბლინში. ამ კრებაში მონაწილეობას არ იღებენ მხოლოდ უკიდურესი ნაციონალისტები. სხდომები

გრძელდებოდა 8 თვის განმავლობაში, მაგრამ ვერავითარი ერთსულოვანი გადაწყვეტილება ვერ გამოიტანეს, რადგანაც ულსტერელები ირლანდიის კონსტიტუციონური მთლიანობის სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ. ლოიდ ჯორჯმა, რასაკვირველია, ულსტერელების ოპონიციას უფრო გაუწია ანგარიში და კრების უმრავლესობის მიერ გამოიმუშავებული პროექტი პარლამენტს აღარ წარუდგინა და დაბოლოს მასზე უარიც კი სთქვა. ოპონიციონერი ულსტერელები დიდ უმცირესობას წარმოადგენდენ ირლანდიაში, მაგრამ სწორეთ ეს უმცირესობა იყო, რომ ლამობდა უმრავლესობისათვის თავისი სურვილები თავს მოეხვია. ინგლისის მთავრობა კი ორპირულათ ერთი მხრივ ირლანდიას თავისუფლებას პირდებოდა, მეორე მხრივ კი ამ თავისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ულსტერელებს ამხნევებდა და მხარს უჭერდა. ულსტერი იყო ინგლისელების ირლანდიაში ბატონობის გარანტია.

ირლანდიის ზომიერი ნაციონალისტები, კომრულისტები. პარლამენტარული პარტია რედმონდის ხელმძღვანელობით თანდათან კარგავენ ყოველსავე გავლენას ირლანდიაში. ხალხი აღარ უსმენს და აღარ უჯერის მათ ესლა. 1918 წ. რედმონდი კვდება. ამვე წლის დეკემბერში კი საერთო არჩევნების დროს რედმონდის მიმდევრები სასტიკათ მარცხდებიან და უკიდურესი ნაციონალისტები იმარჯვებენ. მთელი ირლანდია 80 დეპუტატიდგან 73 უკიდურესი ნაციონალისტს ირჩევს. პარტიებს შორის ყველაზე უფრო ძლიერი ესლა ირლანდიაში შინფენების პარტია და მის ხელმძღვანელთა შორის ყველაზე უფრო პოპულიარული დევალერა არის. შინფენ ნიშნავს—ჩვენ თვითონ. შინფენების აზრით ინგლისი მათ თავისი ნებით არაფერს მისცემს, ის მხოლოდ იძულებული უნდა იქნას დასთმოს ირლანდიის თავისუფლება. ჩვენ თვითონ ვიხსნათ ჩვენი თავი! თავისუფლების თხოვნით და სვეწნით ვერ მიიღებ, ის უნდა მოიპოვო. შინფენები წინააღმდეგი არიან ირლანდიამ თავის წარმომადგენელნი აგზავნოს ინგლისის პარლამენტში. მათ უნდათ თავის საკუთარი პარლამენტი დუბლინში. ირლანდია, არ უნდა აგზავნიდეს თავის შვილებს ბრიტანეთის ჯარში, არამედ მას უნდა ყავდეს თავისი საკუთარი ნაციონალური ჯარით. ნუ წავალთ ინგლისელ სასამართლოებში და სკოლებში, გავიჩინოთ ჩვენი საკუთარი სკოლები და სასამართლოებიო. ნუ მივცემთ ინგლისს გადასახადებს, განვაგითაროთ ჩვენი მრეწველობა, ჩვენი ვაჭრობა და ამ გზით თავი დავახწიოთ ჩვენში ინგლისის ეკონომიურ ბატონობასო. შევქნათ და ავაყვავოთ ნაციონალური ირლანდია უინგლისელებოთ და მათ წინააღმდეგობის მიუხედავათ; ვიმუშაოთ და ვიმოქმედოთ ისე, ვითომც ცხვარობდეთ თავისუფალ ქვეყანაშიო. შინფენებს არ აკმაყოფილებთ კომარული—ირლანდიის ავტონომია ბრიტანეთის იმპერიის საზღვრებში, ასეთ ავტონომია თავისუფლების მხოლოდ კარიკატურა იქნებოდაო. მათ დროსაზე ეწერა: გაუმარჯოს სუვერენულ და დამოუკიდებელ ირლანდიას!

(გაგრძელება იქნება)

კ. კვატჯალაძე.



წ ე რ ი ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ი ა ნ .

გასული წლის მოუსავლობამ მეტად ცუდი-მდგომარეობა შექმნა. იშვიათ გლესს თუ აქვს ახალ მოსავლამდე საკმაო სარჩო. გლესობის ორი წილი სიმინდს უკვე ყიდულობს. სიმინდის ფასი 3-4-მდე ავიდა. მეტად ძნელია ღარიბი გლესისათვის ფულის შოვნა. მარა ფულიც რომ იშოვოს, სიმინდს ვერ იშოვის საყიდლათ; მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს რუსეთიდან პურის შემოღუტანლობა. ამ ბოლო დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოვიდა სიმინდის ფქვილი, მაგრამ ძალიან ცოტა და ისიც ცუდი ღირსების.

კიდევ უფრო აუტანელი გახდა ქალაქში ცხოვრება, ფურჩეებთან გამუდმებული კუდებია. პურის სიმცირე იმდენად მწვავეა, რომ ზოგიერთმა ქალაქმა მაგ., ბათუმმა, აუკრძალა ყველას, არა ქალაქში მცხოვრებთ, პურის ყიდვა. ასე რომ ბათუმში ჩასულ გლესს არ აქვს უფლება, იქ პური შეიძინოს და სოფელში წაიღოს.

პური ხომ პურია, მაგრამ სხვა პირველსაქიროების საგნებიც ძნელი საშოვნელია, ჩვენი კოლპერატივები თითქმის დაცლილია. ხშირად კურობულ შემთხვევასაც აქვს ადგილი: ზამთარში საზაფხულო ტანთსაცმელი მოაქვთ და ზაფხულში საზამთრო. თუ გლესი კოლპერატივის წევრი არაა, იქ ვერაფერს იყიდის. ამავე დროს კი საწვერო გადასახადი 6 მან. 12 მან-ე აიყვანეს.

ყველაფერი ეს იწვევს გლესთა შორის უკმაყოფილებას და აღელვებას. მარა ამის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ ერთ ხერხს მიმართა: წელს გასულ წლებთან შედარებით შეამცირა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, სამაგიეროდ სახლპაროდ გაზარდა არაპირდაპირი გადასახადი. დაბეგრეს ვაჭრები. მაგალითად, გურიაში ერთი პატარა სოფელია სუფსა 10-15 დუქნით. და აი ამ სუფსის ვაჭრებს დადეს 150.000 მან. გადასახადი. ამავე სოფლის ერთ სასადილოს 3000 მანეთი. სინამდვილეში კი მთელი ეს ზღაპრული ბეგარა გლესის ზურგიდან აიღეს. და ეს გასაგებია. რადგანაც კერძო ვაჭრებს ნიხრი არ აქვთ, როგორც მოესურვებთ, ისე ჰყიდიან საქონელს; მათ კონკურენტი არავინა ჰყავთ. კოლპერაცია გადატაკებული და დაჩაჩანაკებულია, ამრიგად კერძო ვაჭრის მადა შეუზღუდველია. და აი, მთავრობის მიერ შეწერილ ბეგარას ის საქონელს ერთი-ორად ადებს და ასე მომხმარებელზე ჰყიდის. მომხმარებელი კი გლესია და არაპირდაპირი გადასახადიც მისი ჯიბიდან ამოღის.

ამ დემაგოგიური ფანდით მთავრობას უნდოდა ორი კურდღელი მოეკლა: კერძო ვაჭარი და გლესი ერთმანეთზე წაეკიდებია და უკანასკნელი მოემადლიერებია. აქაოდა ვაჭრები დაბეგრე. შენ კი გადასახადი შეგიმცირეო. მარა გლესმა გაუგო ხელისუფლებას ეშმაკობა და უკმაყოფილება ამით კიდევ უფრო გაიზარდა «მთავრობა გვატყუებს, გვეუბნება ვაჭრები დაბეგრეთო, ნაამდვილათ კი ბეგარა ჩვენს ზურგზედ აიღესო»—გაიძახის გლესკაცობა.

მაგრამ გლესის ზურგიდან ტყავის აძრობა მართლ სამეურნეო და არაპირდაპირი გადასახადით არ განისაზღვრება. კანონის ძალით სამეურნეო გადასახადით უნდა ინახებოდეს ადგილობრივი აღმასკომი. შკოლა, ბიბლიოთეკა, კეთდებოდეს გზები და სხვა. მაგრამ საბჭოთა «მეურნეების» მეოხებით, ამ გადასახადის ნაწილი, რომელიც ადგილობრივ საქიროებისთვის არის დანიშნული, თითქმის, არასოდეს საკმარისი არ არის და ამიტომ დამატებით ბეგარასაც ბოლო არ უჩანს.

ენლა სამეურნეო სესხს სცემს მოაზრობა, ამ სესხის ობლიგაციების შეძენა გლესებისათვის სავალდებულოა. ამავე დროს გლესი საშინლად გატყავებულია, ეკონომიურად დაცემული. იშვიათ ოჯახს ნახავთ, რომ მეწველი ძროხა ყავდეს. ყველი გირვანქა 1 მან. იყო. თევზი არ იშოვება, თუ შემთხვევით შემოიტანეს ტარანი—გირვანქა 35 კ. ლირს.

უმრავლესობა მცხოვრებლებისა ტყემლის წვენზე და ბალახეულობაზე ვადადის. რა გასაკვირია ამის შემდეგ, ხალხი უკმაყოფილო იყვეს ოკუპანტებით.

საერთოდ ეკონომიური კრიზისი ცხოვრების ყველა დარგს სწვდა და მას თავის კლანჭებში აღჩობს. ეს ქმნის ნერვიულობას როგორც ბაზარზე, ისე საბჭოთა აპარატშიც. ყველას აზრია: თუ ხელისუფლებამ სესხი ვერ იშოვა—ეკონომიური კრახი და პოლიტიკური ცვლილებები აუცილებელია.

დაბოლოს მინდა ორიოდე სიტყვით შევეხე ჩვენებურ. ე. წ. «უკლონისტების» მდგომარეობას: ოპოზიციონერებს საქართველოში მუსრი გააველეს. გასულ ზამთარში იარაღი აჰყარეს გურიის ოპოზიციონერების ბელადს პარმენ ცინცაძეს. გაჩხრიკეს და დაატუსაღეს კოტე ცინცაძე (ჩეკის ყოფილი თავმჯდომარე)

მაისის პირველ რიცხვებში მოხდა ოპოზიციონერების გადასახლება საქართველოდან. მათ შორის არიან: კოტე ცინცაძე, ხუტულაშვილი, ლ. დუმბაძე, დონაძე და მრავალი სხვები. ოპოზიციონერებს განზარა სხვა ქონდათ ამ გადასახლების დღეს დემონსტრაცია მოეხდინათ ყველა ქალაქებში. მაგრამ არც ჩეკისტებს ეძინათ და ვერაფერი მოაწყვეს. კიდევ რაღაც შესძლეს ტფილისში. ვითომც გამოსათხოვებლად მოიყარეს თავი თფილისის სადგურთან, ხალხიც საკმაოდ შეგროვდა, დაბოლოს ამ გამოთხოვებას დემონსტრაციის ხასიათი მისცეს. ამ დროს სადგურში შეიჭრა ჩეკისტთა რაზმი, გაჩაღდა საშინელი ცემატყეპა. განსაკუთრებით დიდ ენერჯიას იჩენდნენ ოპოზიციონერების ცოლები. ჯოხებით და ფრჩხილებით ეკვეთენ ისინი ჩეკისტებს. დიდი ბრძოლის და დავიდარაბის შემდეგ დემონსტრაცია დაშალეს; რის შედეგი იყო დასივებული თავები და დაბეგვილი გვერდები ორივეს მხრივ. ხოლო უბადრუკმა გადასახლებულმა ოპოზიციონერებმა ამ დემონსტრაციის დროს ვაგონის ფანჯრებზე ლენინის სურათი გამოაფინეს. ვითომდა ჩვენ ლენინელები ვართ და არა ტროცკისტებიო. ასე უფერულად ჩაუა-

რა უილაჯო «უკლონის ტებს» ამდენმა ბაქიობამ. ისე, საერთოდ, კომპარტიის მასის უმრავლესობა ოპოზიციონურადაა განწყობილი, მაგრამ მეთაურები არა ჰყავთ და თავიანთ უკმაყოფილებას პასივობაში გამოხატავენ; ჩაფიქრებული და ყურებ ჩამოყრილი არიან.

გვრდვის პრესა და 26 მაისი.

26 მაისის ათი წლისთავს ევროპის თითქმის ყველა ქვეყნების პრესა თბილი გრძობით გამოეხმაურა. ამ დღესასწაულის გამო საქართველოს ბედი ერთხელ კიდევ მოაგონეს თავის მკითხველებს საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის და სხ. ქვეყნების დიდმა გაზეთებმა. მაგრამ განსაკუთრებით მსურველად იყო გმობსმარება პოლონეთში და შვეიცარიაში. ჩვენ ხელთ არის უკანასკნელი ქვეყნის რამოდენიმე გაზეთები, საიდანაც მოვიყვანთ პატარა ამონაწერს:

«ლა ტრიბიუნ-დე ქენევი», 27 და 29 მაისის: ნ. ჟორდანიას სურათთან ერთად ათავსებს ფელეტონს, რომელშიც მოყვანილია ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის მიერ 26 მაისს წარმოთქმული სიტყვა დამოუკიდებლობის აქტის შესახებ. საქართველოს რესპუბლიკის ისტორიის განსახების და რუსის ჯარის შემოსევის აღწერის შემდეგ, ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საქართველოში გამეფებულ უცხო ძალმომრეობისა, მისი საერთაშორისო სტატუსი შენახულია და იგონებს ვანდერველდის სიტყვებს, დაწერილს დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაპყრობამდე: რაც არ უნდა მოუვიდეს საქართველოს, ამბობდა ვანდერველდე 1920 წელს, «რომც დაესხენ თავს, დაიპყრონ, წაღვეონ ბარბაროსულმა ძალებმა, რომლებიც მას დღეს ემუქრებიან, მიუხედავად ყველაფრისა საქართველო გასტანს, ის გადაიტანს განსაცდელს, როგორც გადაიტანა ის ბელგიამ, ვინაიდან მას სწყურია სიცოცხლე, ვინაიდან მას გადაწყვეტილი აქვს იცოცხლოს, ვინაიდან ის აღჭურვილია ყველა იმ ელემენტებით, რომლებიც რაც არ უნდა მოხდეს, უზრუნველყოფენ ერის უკვდავებას». «ამ რწმენას, დასძენს გაზეთი, იზიარებს დღეს საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტი ჟ. მარტენის მეთაურობით; ეს რწმენა შეადგენს საფუძველს მისი არსებობისას. კომიტეტი დაუღალავათ ილაღადებს საქართველოს უფლებებზე, განუწყვეტილად მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას. ის თვითნებულ ხელსაყრელ შემთხვევის გამო მოაგონებს ევროპის სახელმწიფოებს მათ ვალდებულებას, ხოლო საბჭოთა რუსეთს—მის ბოროტმოქმედებას და უზურპაციას»...

სოციალისტურ «სანტინელ»-ში ჟ. დიუმულენი უპირობაობს ერთმანეთს 26 მაისს და 11 თებერვალს, ფარდას ხდის ბოლშევიკების ვერაგობას და ირწმუნება, რომ სოციალისტური ინტერნაციონალი ვერ დაივიწყებს თავის მოვალეობას ქართველი ერის მიმართ.

«გაზეთ დე ლოზან» მოწინავე წერილს უძღვნის 26 მაისის წლისთავს, ასწერს რა საქართველოს

ან კი რა აქვთ სამხიარულო! მათი ბელადების წყალობით ტკბილი ცხოვრება—ჩეკისტური მუშაობით შეეცვალათ და სოციალისტური სამოთხე—პოლიტიზოლიატორით!

სალი.

საქართველო, მაისი 1928 წ.

მწარე ბედს, მიუთითებს რა მის უდაო უფლებას, გაზეთი მოითხოვს, რომ ევროპის მემარცხენე ელემენტები, განსაკუთრებით სოციალისტები, მეტის ენერგიით მოეკიდონ საქართველოს საკითხს და მეტი შეურიგებლობა გამოიჩინონ საბჭოთა რუსეთისადმი.

«კურიე დე ქენევი»: თვისი დამოუკიდებლობის ათი წლისთავზე საქართველო გმინავს სამხედრო ოკუპაციის ქვეშ, «მაგრამ ის არ მომკვდარა. პირიქით, ის სიცოცხლობს და სიცოცხლობს მით უფრო ინტენსიურად, რაც უფრო ღრმად არის დაფარული მათი შვილების სულში და გულში თავისუფლების წყურვილი... მისი დამოუკიდებლობის ათი წლისთავზე მივაპყრათ მას ჩვენი გონების თვალის და მსურველ სურვილი—მალე გაიმარჯვოს თავისუფლების იდეალმა, რომელიც ასე ძვირფასია ყველა შვეიცარიელისათვის და რომელიც ასე მძლავრათაა ჩანერგული ყოველი ქართველის გულში».

«ლა სიუს»-ი მოწინავე წერილში: პირველი შეხედვით შორეულ საქართველოს ბედი თითქმის ყველა ჩაგრულ ერთა ჩვეულებრივ ხვედრად უნდა გვეჩვენებოდეს. მაგრამ «ნაამდვილათ ეს ასე არ არის! საქართველომ შესძლო მოვპოვებია არამც თუ ევროპის, არამედ მთელი ქვეყნის სიმპატია და თანაგრძნობა»... «მხოლოდ ძალმომრეობას და უბოროტეს ძალადობას შეეძლო დაემხო საქართველოს საქმე და თუ ქართველები დღეს ბოლშევიკების ბარბაროსულ უღლის ქვეშ იმყოფებიან, დროთა მსვლელობა კიდევ უფრო ამწიფებს მათს სულში და გულში მომავალ განთავისუფლების მძლავრ, ღრმა, გარდაუვალ ნებისყოფას. ვინ არ სცნობს, რომ მის განთავისუფლებაში დაინტერესებული არიან მსოფლიოს ყველა ერები».

«ლე ქენევი უა»: იგონებს აჯანყების დღეებში ნ. ჟორდანიას მიერ მოსკოვისთვის გაგზავნილ წინადადებას: შეჩერებულ იქნას სისხლისღვრა და საქართველოს საკითხი გადაწყვეტილ იქნას მშვიდობიანი გზით 1920 წლის ხელშეკრულების ნიადაგზე. «ეს მიმართვა, ასეთი დარბაისელი, ასეთი ადამიანური უპასუხოდ დარჩა. პასუხი კი აუცილებელია. მას მოითხოვს თავისუფალ ხალხთა სინიდისი. ჩვენ მუდამ მოვიგონებთ და მოვავანებთ ქვეყანას მის საჭიროებას. საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენი ცივილიზაციის მორალური აუცილებლობაა».

გერმანული «ლიეციური ხენცაიტუნგ»-ში საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის წევრი, ლუი კარტიე, მოუთხრობს რა მკითხველს 26 მაისის ამბავს, მოუწოდებს «შვეიცარიის



ხალხს თავისი სიმპატია მიაპყრას ქართველ ხალხს და მხარის დაუჭიროს მას თავისუფლების ხელახლა მოპოებისათვის ბრძოლაში».

გერმანული ბერლის ოფიციალური «დერ ბუნდ» მოიგონებს დამოუკიდებლობის აქტს, შემდეგ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებას და დასკვნის: «საერთაშორისო უფლების თვალთახრისით არ არსებობს არავითარი ეჭვი—და ეს საქვეყნოდ უნდა ითქვას დღეს, განსაკუთრებით შვეიცარიაში—რომ საქართველო სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოა. ყოველივე ადამიანის სინიღისათვის ეს წლისთავი არის დღე გლოვის, პროტესტის და სირცხვილის». გაზეთი აღმფოთებს გამოსტევაშს, რომ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოები შესძლებლათ მიიჩნევენ იცნონ საბჭოთა რუსეთი უპირობოთ, 1920 წლის 7 მაისის მისივე ხელისმწერის მოუგონებლად. უეჭველია ადრე თუ გვიან დაისმება საკითხი

რუსეთის ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. მაშინ უნდა მოვიგონოთ ის პირობა, რომელსაც შეიცავს პაქტის პირველი მუხლი ლიგაში შემსვლელ სახელმწიფოსათვის. ერთა ლიგაში «შესვლის მოწმობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიეცეს რუსეთს, როცა ის დაუბრუნებს საქართველოს თავისუფლებას, რომელიც მან ასე სამარცხვინოთ გათვალა 1921 წელს».

დაბოლოს ჩვენი მეგობარი ჟან მარტენი, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე, ასე ათავებს «უურნალ დე ქენევიში», თავის წერილს, რომელშიაც ის პარიზში გამართულ ქართულ, სომხურ და აზერბეიჯანულ სამიხსო დღესასწაულებს აღწერს: «ჩვენ მოწიწებით და სიმპატიით ვიხრით ქედს კავკასიელთა იღვანდელ უბედურების წინაშე და დარწმუნებული ვართ, რომ ერთობით და თანხმობით ისინი შესძლებენ ააგონ მკვიდრი და გამძლე შენობა თავისუფლებისა»...

26 მაისი უცხოეთში.

წლებადელი 26 მაისი და იმავე დროს 10 წლისთავი ჩვენი დამოუკიდებლობისა განსაკუთრებულის ზეიმით ჩატარდა პარიზში. ჯერ თვით კონტა და ვანიერი დარბაზი სასტუმრო «მაქსტიკა»-ში, სადაც დღესასწაული მოეწყო, მოწმობდა ამას. გარდა ქართველებისა, დაესწრენ მრავალნი უცხოელნი, მათ შორის პოლიტიკური მოღვაწენი, დიპლომატები, ჟურნალისტები; იყვნენ მეზობელ რესპუბლიკათა და უკრაინის წარმომადგენელნიც, მოლოცვას იღებდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას, ჩვენი ელჩი აკ. ჩხენკელი და ქართველთა საზგადოების თავმჯდომარე ვ. ლამბაშიძე.

სალამო დაიწყო დ. შარიშიძის მოხდენილი სიტყვით ფრანგულათ, საზოგადოების სახელით. ქართველებს წაუკითხა მეტათ გრძნობიერათ ამ დღისთვის დამზადებული ლექსი პროზით ქ-ბ ლ. პაპუაშვილისა. შემდეგ აღზნებული სიტყვებით მიმართეს იმავე ქართველებს: ბ. ჟან მარტენმა, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარემ, და ბ. აბელ შევალემ, საფრანგეთის ყოფილმა უმაღლესმა კომისარმა კავკასიაში. (ქვევით ვათვსებთ მათ სიტყვებს.

მეორე განყოფილება შესდგებოდა ბუნდოვან სურათებისგან: საქართველოს ბუნება, ნაშთება, მრეწველობა, მეურნეობა, ტიპები. სურათებს წინ უძღოდა საქართველოს დროშები და ღერბი, რომლის დანახვებ ხალხი ზეზე წამოდგა და ეროვნული ჰიმნი იმღერა.

შესამე განყოფილება წარმოადგენდა კონცერტს და ეროვნულ თამაშს კოსტიუმებში, მონაწილეობდნენ: ქ-ბბ. მ. ვაჩნაძე, ავნათამოვი, ა. დავრიშაშვილისა, ვ. კედიასი, ლ. პაპუაშვილისა და ბ. ბ. ნანობაშვილი, ბალარჯიშვილი, ვაჩნაძე, სულხანიშვილი.

ჟან მარტენის სიტყვა.

ჩემი მეგობარი დათიკო შარიშიძის მშვენიერი სიტყვის შემდეგ გასაკვირი იქნებოდა თქვენთვის ჩე-

მი სიჩუმე. არ შემიძლიან არა ვსთქვა ორიოდე სიტყვა დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეობაზე.

საქართველოს საერთაშორისო კომიტეტის სახელით, სადაც შედიან თუთხმეტ სახელმწიფოთა მოქალაქენი, და აგრეთვე ჩემი სახელით მე მიინდა გამოვიცხადოთ ჩვენი თქვენდამი აღტაცება და ჩვენი სიყვარული.

უწინაც, ძველი რეჟიმის დროს, მე განვიციდილი თქვენდამი ამ გრძნობას სიყვარულისას და აღტაცებისას. თქვენმა გარდმობვეწილებმა ყენევაში, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, მე გამაცნეს თქვენი გასაოცარი წარსული, თქვენი ათასწლოვანი გადმოცემანი, თქვენი მსურვალე მამულიშვილობა, თქვენი მხნეობა ჰირში, თქვენი მამაცობა თქვენი აზრის და მისწრაფებათა დაცვაში.

ჩემი სიყვარული და აღტაცება უფრო გაიზარდა თქვენს მშვენიერ ქვეყანაში, როცა ახლო დავინახე თვით ქართველი ერი; ქალაქებში, სოფლებში, მთებში, მე ვიგრძენ თვით სული ქართველი ერის, მთრთოლვარე, ბედნიერი და ამაყი მით, რომ დაიბრუნა ხელახლა თავის ძველი დამოუკიდებლობა.

ჩემი აღტაცება და სიყვარული შეიქმნა უფრო ღრმა კიდევ მას შემდეგ, როცა ბედის უკუღმართობა თავს დაატყდა თქვენს ხალხს და თქვენ თვითონ.

ის ღირსება, რომლითაც თქვენ იტანთ თქვენი უბედურებას, ის მხნეობა, რომლითაც თქვენ ამზადებთ თქვენი სამშობლოსათვის უკეთეს მომავალს, უკეთესი საწინდარია საქართველოს ბედისა.

თქვენ იქნებით თავისუფალი, ვინაიდან თქვენ ხართ ღირსი თავისუფლებისა, და ყველა თქვენი მეგობრებიც, რომელთა სახელით მე აქ ვლაპარაკობ, შეეცდებიან ყოველი თავისი ძალღონით დაგეხმარონ თქვენ თქვენს პატრიოტულ მიხწევაში.

გაუმარჯოს საქართველოს, დამოუკიდებელს და თავისუფალს.

ბ. აბელ შევალე, სრულ უფლებიანი მინისტრი, ყოფილი უმაღლესი კომისარი საფრანგეთის რესპუბლიკისა კავკასიაში.

ბ. თავმჯდომარე, ბ. მინისტრო, ბატონებო!

მე მხოლოდ ერთი-ორი სიტყვით მინდა შევეუერთდე იმ გრძნობას, რომელიც ასეთი მკვეთრ მკვეთრ-მეტყველობით გამოსთქვა ბ. ჟან მარტენმა, თავმჯდომარემ საქართველოს საერთაშორისო კომიტეტისამ.

ქართველ კოლონიის ერთმა ცნობილმა წარმომადგენელმა მე მიწოდა ამ საღამოს «ერთგული მეგობარი საქართველოსი». მე ხელს ვაწერ. ჩემს მეგობრობას თუ სხვა რამ ძლიერება არა აქვს, ძალა მაინც აქვს მოწმობისა.

მე ვნახე საქართველო იმ დღეებში, რომლებიც წინ მიუძღოდნენ და შემდეგ თან ახლდნენ იმ თავდასხმას, რომელმაც შეაძრწუნა მთელი კაცობრიობის სინიღისი. მას აქეთ აგერ შვიდი წელიწადია. ესლა მე ვხედავ საქართველოს ცოცხალს აქ, ჩვენ შორის. საფრანგეთში. საცოცხლე ძნელია და მდგომარეობა მწველი.

რამდენადაც ქართველების ყოფაქცევა იყო ღირსეული და დინჯი თავდასხმის წინა დღეებში, იმდენად ის არის ეხლაც მამაცური. ერთგული და შესაყვარი. არაფერია ისე მშვენიერი, როგორც ეს ამპარტავანი თმენა მთელი ერის, რომელიც არ ივიწყებს არაფერს და იმედი აქვს ყველაფრისა. იმ მწუხარებაში, რომელშიაც თქვენ იმყოფებით და რომელიც, დამეთანხმებით. ცოტათი მაინც შემსუბუქებულია საფრანგეთის სიმპატიით, თქვენ ახერხებთ კიდევ და-იმსახუროთ ყველგან ნდობა და პატივისცემა. ვერც სიღარიბემ, ვერც ყოველდღიურ მუშაობამ, ხშირად აუტანელ პირობებში, თქვენ ვერ მოეშალათ. თქვენა გაქვთ რწმენა.

თქვენთან ერთად მე ვალიარებ აქ, რომ არ ყოფილა და არც იქნება, რომ საუკუნოთა განმავლობაში თავისუფალ და დამოუკიდებელ ერს ჩამოერთვას უფლება განაახლოს და აღადგინოს თავისი დამოუკიდებელი არსებობა.

თქვენ აღვზნებთ ამ საღამოს ამ ქართულ მოგონების ალს, რომელიც დიდხანს იყო ჩამქრალი, მაგრამ აღინთო ისევ ამ ათი წლის წინეთ და არ შესწყვეტს ამიერიდან თავის პრიალს აქაც კი, უცხო ქვეყანაში. საქართველოს ისტორია იზომება საუკუნოებით და არა დღეებით. მე ამას ვამოწმებ. ეს გულითადი მოწმობა არის ჩემი მეგობრობა და ჩემი მეგობრობა იხატება ამ უტყუარ მოწმობაში.

დაბოლოს ვუძღვნი საღამოს თავმჯდომარე ყოვანიას. რომელიც არის სიმბოლო თავის ქვეყნის და ჩვენი დროის ერთი უმაღლესი წინამძღოლი სახეთავანი, ვინაიდან იგი წარმოადგენს დამოუკიდებლობას იმ ერისა, რომელიც ჯვარცმულია და რომელიც უნდა აღდგეს.

ქ. ბ ე რ ლ ი ნ ი.

საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლის თავის აღსანიშნავად ქართველთა კოლონიის გამგეობის თაოსნობით 26 მაისს ბერლინში მოეწყო საღამო,

რომელსაც დაესწრენ, როგორც ჩვენი მეზობლები ისე აუარებელი გერმანელი მეგობრები. გერ. სოც.დემ. სახელით ილაპარაკა ედ. ბერმუტინმა და გახ. «ფორვერტის» წარმომადგენელმა რიხარდ ბერმუტინმა, ორივემ მეტად მგრძობიარე სიტყვა წარმოსთქვეს და თავისი მხურვალე თანაგრძნობა გამოუტხადეს საქართველოს მებრძოლ ხალხს. აგრეთვე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ადერბეიჯანის და სომხეთის ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ქართველებიდან ილაპარაკეს საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა გერმანიაში ვლ. ახმეტელმა და დ. ლამბაშიძემ.

დასასრულ კრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას.

ქ. ვ ა რ შ ა ვ ა.

ვარშავის ქალაქის თვითმართველობის დარბაზი პოლონეთის ერის პოლიტიკის, კულტურის, მწერლობის, მხედრობის, პრესის, საზოგადო მოღვაწეობის თუ სინიღისის წარმომადგენელთა მიერ საგსე იყო 27 მაისს გამართულ საქართველოს, ახერბეიჯანის და მთიულეთის 10 წლის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, მიუხედავად კოკისპირულ წვიმისა. დღესასწაული გახსნა პოლონეთის გამოჩენილმა მწერალმა სენატორმა ანდრეი სტრუგმა, რომელმაც ვრცელ სიტყვაში აღნუსხა წარსული და ამწყო აღნიშნულ ერთა ცხოვრების. შეეხო ვრცლად საქართველოს, მის კულტურას და მის როლს კაცობრიობის ისტორიაში, მიესალმა აღნიშნულ ერთა წარმომადგენლებს და უსურვა მათ გამარჯვება. ბნ სტრუგის სიტყვა მქუხარე ტამით იქნა დაჯილდოებული. პრეზიდენტის ადგილი დაიკავეს სენატორ სტრუგთან ერთად გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწემ, აღმოსავლეთის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, სენატორმა სედლეცკიმ, ყოფილმა მინისტრმა ხოდკომ და უკრაინის წარმომადგენელმა პროფ. სმალსტოცკიმ. სტრუგის შემდეგ ილაპარაკეს ახერბეიჯანის წარმ. მუსტაფა ბეგ-ვექილმა, საქართველოს — იოსებ სალაყაიამ, რომლის სიტყვას ოვაციით და «საქართველოს გაუმარჯოს» ძახილით მიეგება საზოგადოება, და მთიულთა წარმომ. ტამბი ბეგ-ილიკოტიმ.

ამ სიტყვების შემდეგ გაიხსნა საკონცერტო განყოფილება, რომელშიდაც მონაწილეობდნენ ვარშავის საოპერო და დრამის თეატრების გამოჩენილი მსახიობნი: ქ-ნნი ორლინსკა, სხვათა შორის იმღერა ქართული «თავო ჩემო», სკონეჩნა და კარკოვსკა; ბ-ნნი ბრუაგი, გ. სიხარულიძე და ფრენკელი, აკომპანიმენტი ქ-ნი ზალესკა.

განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოიწვია დუეტმა «მურმან-მურმან» აბესალომ და ეთერიდან», რომელიც ჩინებულათ შეასრულეს ბ. ბ. გ. სიხარულიძემ (ბარიტონი) და ბრუაგიმ (ტენორი). მომღერლები მხურვალე ტამით იქნენ დაჯილდოებული.

უნდა აღინიშნოს ქართული კოლონიის გამგეობის ენერგიული მუშაობა დღესასწაულის მოწყობაში და შინაარსიანათ ჩატარებაში. აღსანიშნავია აგ-

რეთვე გამგეობის მიერ იმ დღისათვის სპეციალური ყურნალის გამოცემა; ყურნალი მეტათ შინაარსიანია. შიგვე მოთავსებულია სურათები ჩვენი თანამედროვე და ძველ მოღვაწეთა. თითქმის ყველა ადგილობრივ და პრავინციის გაზეთებმა აღნიშნეს ეს დღესასწაული; უძღვნეს ვრცელი წერილები კავკასიის საკითხს და მის მნიშვნელობას საერთაშორისო განწყობილებაში. საღამოს ცხრა საათზე კავკასიის ერთა წარმომადგენლებს რაუტი გაუმართა აღმოსავლეთის ინსტიტუტმა; რაუტზე მიწვეული იყვენ პოლონეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, აგრეთვე პრესის წარმომადგეალები. რაუტს დიდი პოლიტიკური სახე მიეცა. იყო სათანადო სიტყვები. ღამის მეორე საათზე სტუმრები და მასპინძლები ფრიად კმაყოფილნი დაიშალენ.

ქ. პ რ ა ლ ა.

ჩეხოსლოვაკიაში ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ გადაიხადა 10 წლის თავი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა რესტორან «კოლხიდაში», საზოგადოების ყველა წევრების და მთელი რიგი მოპატიჟებულ სტუმართა თანდასწრებით. ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებიდან დაესწრო რამდენიმე სენატორი და სოც.-დემ. პარტიის ასეთივე რამოდენიმე წარმომადგენელი.

ზეიმი გახსნა საზოგადოების გამგეობის თავმჯდ. ემუხვარმა; მან მშობლიურ ენაზე მოკლეთ დაახასიათა 26 მაისის მნიშვნელობა საქართველოსთვის, და თავჯდომარეობა, როგორც გასულ წლებში, იკისრა ჩვენმა მეგობარმა სენატორმა სოუკუშმა.

პირველათ შედარებით ვრცელი სიტყვა წარმოასთქვა გრ. აილომ, რომელიც ისტორიულათ შეეხო დამოუკიდებლობის გამოცხადებას, დემოკრატიული რესპუბლიკის მშენებლობას და დღევანდელ ჩვენ ბრძოლას მისი პერსპექტივებით.

სენატორმა სოუკუშმა უძღვნა ჩვენს ზეიმს ჩვეულებრივი მჭერმეტყველობით მეგობრული, თბილი, სასვე იმედებით სიტყვა.

მისალოც სიტყვას ამბობენ მთელი რიგი დამსწრე სტუმრებისა—წარმომადგენელი სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ემიგრანტთა წრეებიდან: უკრაინელები, სომხები, ბელარუსები, კაზაკები, მთიელები, რუსები (ჩეროვი) და სხვ.

ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემოკ. პარტიის ცენტრალურმა ორგანომ «პრავო ლიდუ»-მ 26 მაისის ნომერში სპეციალური წერილი უძღვნა ჩვენი დღესასწაულის 10 წლის თავს.

ო დ ე ნ კ უ რ ი.

კვირას, 27 მაისს, ოდენკურის ქართველთა კოლონიის კრებამ, მოისმინა რა სიტყვები, რომლებიც აღნიშნავდნენ 26 მაისის მნიშვნელობას, გამოიტანა ერთხმათ შემდეგი რეზოლუცია:

«დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის 10 წლის თავზე, ჩვენ მოწიწებით ვიგონებთ მათ სახელებს, ვინც თავი შესწირეს ბრძოლას საქართველოს თავისუფლებისათვის.

ვესალმებით ჩვენს ხალხს და გულწრფელ საღამს, აღბეჭდილს ღრმა მწუხარებით, მაგრამ მტკიცე იმედით, უთვლით ჩვენ თანამემამულეებს, ვინც წვალობენ და იტანჯებიან, როგორც დაპყრობილ სამშობლოში. ისე სამშობლოს გარეთ.

გვწამს, რომ ისტორიის საათი კარგათ მუშაობს, და ისარი ისტორიის ციფერბლატზე უახლოვდება იმ წერტილს, როდესაც დარეკს განთავისუფლების საათი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!  
ძირს მოსკოვის თვითმპყრობელობა!

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე  
შეგიცხარიამი.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ათი წლის თავზე ქენევაში. Hôtel Metropole-ში შესდგა საზოგადო კრება საერთაშორისო ლიგისა საქართველოს დასაცავად. კომიტეტის თავმჯდომარემ უან მარტენმა გააცნო კრებას გასული წლის მუშაობა და გაუთვალისწინა გეგმა მომავალი მოქმედების. თავის სიტყვის დასასრულს მან მხურვალე თანაგრძნობა გამოუცხადა საქართველოს და გამოსთქვა მტკიცე იმედი მისი აღდგენის და გამარჯვების. ჩაზინადირის ანგარიშის მოსმენის შემდეგ კრებამ ხელახლა ერთხმად აირჩია წინანდელი კომიტეტი ყ. მარტენის თავმჯდომარეობით. ხ. შავიშვილმა, საქართველოს წარმომადგენელმა ნაციონალური ლიგისათან, მადლობა გადაუხადა ქენეველებს იმ ყურადღებისათვის, რომელსაც ყოველთვის იჩენენ საქართველოს მიმართ. მან განაცხადა ქართველი ერის შეურყეველი ნებისყოფა, რომ არასოდეს დაემორჩილოს საბჭოთა ძალმომრეობას და მტკიცედ იბრძოლოს თავის დამოუკიდებლობის აღსადგენად. საზოგადოებამ მხურვალე ტაშით შეხვდა ხ. შავიშვილის სიტყვებს.

ვ ა ნ ლ შ ა ვ ი შ ვ ი ლ ი

უღმომბელი ქლექით ხანგრძლივი ავანტიურისაგან გარდაიცვალა, შვეიცარიაში, ერთი საუკეთესო ქართველთაგანი, გაუტყეხელი სულით, ჯერ კიდევ ვაჟაკი, ვანო შავიშვილი. ლტოლვილის სამშობლოდან კიდევ ძველი რეჟიმის დროს, მას არ უხილავს საკუთარის თვლით თავისუფალი საქართველო. მაგრამ, დღიდან მის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ის გახდა აღზნებული დამცველი ამ იდეისა საფრანგეთში. ჯერ კიდევ ვერ მოესწრო საქართველოს დელეგატების აქეთ გამოსტუმრება, როცა ვანო, ალივით ანთებული, გატაცებით ქადაგებდა ფრანგთა წრეებში ჩვენი ქვეყნის ფორმალურათ ცნობას. მას შემდეგ, რაც ჩვენი დელეგაცია და უფრო გვიან საელჩო მოეწყო პარიზში, ვანო მაშინვე დაუკავშირდა მკიდროთ ეროვნულ წარმომადგენლებს და, რაც ძალა და ღონე შესწევდა, ხელს უწყობდა მათ მუშაობას. უკანასკნელათ, ლოგინში ჩა-

ვარდნამდე, ის ცხოვრობდა ბრიუსელში და დიდის ერთგულებით სძენდა საქართველოს ახალ-ახალ მეგობრებს. ვანო იმავე დროს არ ივიწყებდა ჩვენი ემიგრანტების უმწეო მდგომარეობას და ცდილობდა მათ ნივთიერ დახმარებას. ვანო წერიტაც არ აკლებდა ხელს საყვარელ საქმეს ფრანგულ გაზეთებში, განსაკუთრებით ჩვენ მოპირდაპირეთა წინააღმდეგ.

ვისაც ვანო უნახავს, სანამ მთლათ არ დაეცა, ვერც კი დაიჯერებდა, რომ ის განუკურნებელი სენით იყო ავად! მომალე ტანის, ჩაფსკენილი, ენერგიული სახის გამომეტყველებით და კიდევ უფრო ენერგიული სიტყვა-პასუხით, ვანო იყო ტიპი დღევანდელ მებრძოლ ქართველისა. თუმცა მას ჰქონდა თავისი თვალსაჩინო სტაჟი წარსულ ბრძოლებსა, როცა ის, სოციალ-დემოკრატი, მოძრაობაში ითრევა ბათუმისა და ბაქოს მასებს, მაგრამ აქ, უცხოეთში, თქვენ ვერ მიხვდებოდით, რომელ პარტიას ეკუთვნოდა ის. მისი პარტია იყო ქართველი, საქართველო, რომლისათვის არაფერს შურავდა.

ჩვენი გაზეთის სარედაქციო კოლეგია მხურვალე თანაგრძობას უცხადებს ვანოს მძას, ხარიტონ შავიშვილს, ჩვენს დაუღალავ წარმომადგენელს ეენევაში.

**ს ტ უ დ ე ნ ტ ი გ . მ ა ხ ა რ ა ძ ე**

ეს მეორე მსხვერპლი! ნორმანდიის უსახელო საზოგადოების ლითონის ქარხანამ, სოფ. კოლომბელში, ჩრდილოეთ საფრანგეთში, კიდევ იმსხვერპლა ერთი ჩვენი თანამემამულე გერონტი (კოკოლა) სერგოსძე მახარაძე. მუშაობის დროს ღამით მას დაეცა ერთ გვერდზედ ზევიდან ჩამოშვებული მიძიმე ოთხკუთხედი რკინა, დაუშავა ერთი ფეხი, გვერდები და ალბად ნაწლევებიც, და სამ დღეში სული განუტავა. მახარაძე იყო ლტოლვილი სტუდენტი, ტანადი, დინჯი, თვალწარმტაცი სილამაზის. მის დასაფლავებას მრავალი ათასი მუშა-მოსამსახურენი დაესწრენ, კუბო ცოცხალ ყვავილებში სტურავდა, დაადგეს გვირგვინებიც წარწერით, იმდენად პოპულიარული იყო ის ფრანგებში.

ასეთია ჩვენი ახალგაზდობის ბედი უცხოეთში. ჩვენი გაზეთი ამათ სწერდა, სამწუხაროდ არაერთხელ რომ ჩვენმა მოსწავლე ახალგაზდობამ თავი უნდა შეიკავოს უცხოეთში გადმოხვეწისაგან თუ მას თან არ ახლავს ნივთიერი საშუალება. საქართველოს ბარბაროსული ხელისუფლება იქამდისაც კი მივიდა, რომ ის უკრძალავს მშობლებს და ნათესავებს ფულის გამოგზავნას იმ ახალგაზდებისთვის, ვინც მისი ნებადაურთველად წამოსულა აქ! მერე არც იმას კითხულობენ, დააშავა რამე თუ არა ახალგაზრდამ. უმრავლესობა სრულიად არაფერშია შენიშნული.

ვისურვებთ, რომ ეს გულშემწარავი მარცხი გამაფრთხილებელი მაგალითი გამოვიდეს სხვებისათვის.

**ა დ ე ნ ე უ რ ი დ ა ნ .**

საფრანგეთის უკანასკნელი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი დამახასიათებელი მხარე ის იყო, რომ საქართველო და მისი ბედი გამოქონდათ ყველა ანტიკომუნისტურ პარტიებს, როგორც ყველაზე მკრეული იარაღი, მოსკოვის ყმად ქცეულ ფრანგ კომუნისტების წინააღმდეგ. თუ ეს უკანასკნელნი სასტიკათ დამარცხდნენ, ეს მოხდა, სხ. შორ., საქართველოს სახელით!

ოდენკურთიდან გვწერენ ერთ ასეთ ტიპიურ მაგალითს. მონბელიარის საქარხნო რაიონში გაიმართა სასტიკი ბრძოლა კომუნისტებსა და სოციალისტებ შორის, რომელთაგან პირველნი, როგორც სჩანს დაიმედებულნიც კი იყვნენ, რომ გაიმარჯვებდნენ. მაგრამ დახეთ ბედისწერას, გაიმარჯვა სოციალისტმარტი უკლემმა! და ეს უკანასკნელი თითქმის სხვას არას ეუბნებოდა ამრჩევლებს, გარდა საქართველოს თავადასავალისა: თუ როგორ მოიპოვა ქართველმა ერმა თავისუფლება, შექმნა სახელმწიფო, შემოიღო დემოკრატიული წყობილება, თუ როგორ მიიღო მან საერთაშორისო ცნობა, თვით საბჭოთა რუსეთისაც, თუ როგორ ვერაუფლად გასტეხა მოსკოვმა სიტყვა და, ომის გამოუცხადებლად წაუსია პატარა რესპუბლიკას ჯარები, როგორ აწამებს მას და სხ.

ოდენკურში მომუშავე 60-დე ქართველიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მომზადებული შეხვდნენ ამ ამბავს. მათ გაუმართეს ბანკეტი გამარჯვებულ დეპუტატს, რომელსაც დაესწრენ ადგილობრივი თვითმართველობის მეთაურნი. ბანკეტს ხელძღვანელობდა ქართველთა ასოციაციის გამგეობა ვ. ბაქრაძის თავმჯდომარეობით. წარმოითქვა მრავალი აღზგნებული სიტყვა. ბანკეტის შემდეგ დამსწრენი პროცესიით გაემართნენ სამშობლოსთვის თავდადებულთა სასაფლაოსკენ და მიიტანეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინი, ქართულ ეროვნულ ფერებისაგან შერჩეული. ამ რიგათ, მთელი ეს ამბები დასრულდა ფრანგებისა და ქართველების მეგობრობის მხურვალე მანიფესტაციით. ადგილობრივი გაზეთები უძღვნიან მას ფრიად საგულისხმეირო სტრიქონებს.

**შ ე მ ო წ ი რ უ ლ ე ბ ა .**

საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიურომ მიიღო პოლიტ. გადასახლებულთათვის: შ. სკამკოჩაიშვილისაგან 50 ფრ.

შეცდომის გასწორება: «დამ. საქართ.»-ს 28 №-ში შემომწირველთა სიიდან გამორჩენილია— მოქ. თარია 12 მარკა, წ. წულაძე 5 მარკა.

*Rédaction et Administration.*

**M. J. GOBETCHIA**

7, rue de Ponthieu, 7. Paris.